



შპს „KPMG Georgia“  
ჯი ემ თი პლაზა  
მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4  
თბილისი, საქართველო 0105  
ტელეფონი: +995 322 93 5713  
ინტერნეტი: www.kpmg.ge

ავთანდილ წერეთელი  
გენერალური დირექტორი

ge/1/004/19

შპს „თეგეტა მოტორსი“  
დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი #5  
თბილისი, საქართველო 0131

17 იანვარი, 2019 წელი

## ფინანსური ანგარიშგების და მმართველობითი ანგარიშის ცვლილება

ბ-ნო ავთანდილ,

კომპანიის ხელმძღვანელობას, რომელიც პასუხს აგებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასა და მმართველობით ანგარიშზე, განზრახული აქვს განახორციელოს მმართველობითი ანგარიშის ტექსტის და აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-15 შენიშვნის ტექსტის ცვლილება. ცვლილება უნდა განხორციელდეს ტექსტის აკრეფის დროს დაშვებული შეცდომის გამოსწორების მიზნით.

**ორიგინალი ტექსტი ფინანსურ ანგარიშგებაში:** „MAN Truck and Bus AG“-მა გააფორმა ხელშეკრულება 143 ახალი ავტობუსის მიწოდების თაობაზე თბილისის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში. შპს „თეგეტა თრაქ & ბას“ უფლებამოსილია მიიღოს 5,736 ევრო „MAN“-ის მიერ მოწოდებულ ერთ ავტობუსზე. სააგენტო მომსახურების ღირებულება მოიცავს საკომისიო მომსახურების ღირებულებას 41 ავტობუსზე, რომელიც 2017 წლის ბოლოსთვის იქნა მოწოდებული.“

**შეცვლილი ტექსტი ფინანსურ ანგარიშგებაში:** „MAN Truck and Bus AG“-მა გააფორმა ხელშეკრულება 143 ახალი ავტობუსის მიწოდების თაობაზე თბილისის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში. შპს „თეგეტა თრაქ & ბას“ უფლებამოსილია მიიღოს 5,736 ევრო „MAN“-ის მიერ მოწოდებულ ერთ ავტობუსზე. სააგენტო მომსახურების ღირებულება მოიცავს საკომისიო მომსახურების ღირებულებას 102 ავტობუსზე, რომელიც 2017 წლის განმავლობაში იქნა მოწოდებული.“

**ორიგინალი ტექსტი მმართველობით ანგარიშში:** “2017 წელს არსებული მაღალი სხვა საოპერაციო შემოსავლები ძირითადად გამოწვეული იყო 2,15 მილიონი ლარის საკომისიო შემოსავლით, რომელიც „თეგეტა თრაქ ენდ ბასმა“ მიიღო 41 ლურჯი ავტობუსის შემოყვანისას.”



**შეცვლილი ტექსტი მმართველობით ანგარიშში:** „2017 წელს არსებული მაღალი სხვა საოპერაციო შემოსავლები ძირითადად გამოწვეული იყო 2,15 მილიონი ლარის საკომისიო შემოსავლით, რომელიც „თეგეტა თრაქ ენდ ბასმა“ მიიღო „MAN Truck and Bus AG“-ის მიერ 2017 წელს შემოყვანილი 102 ლურჯი ავტობუსიდან და ჯამურად შემოყვანილი 143 ლურჯი ავტობუსის საგარანტიო მომსახურებიდან.“

შპს „თეგეტა მოტორსი“  
ფინანსური ანგარიშგების და მმართველობითი ანგარიშის ცვლილება  
17 იანვარი, 2019 წელი

ჩვენი აზრით, მოცემული ცვლილება არაარსებითი მნიშვნელობის არის აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის. შესაბამისად არ არსებობს აუდიტორული დასკვნის განმეორებით გამოცემის საჭიროება. ცვლილება შესაძლოა განხორციელდეს უკვე აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

პატივისცემით,

ენდრიუ კოქსშელი



შპს „KPMG Georgia“



შპს „KPMG Georgia“  
ჯი ემ თი პლაზა, მე-5 სართული  
თავისუფლების მოედანი №4  
თბილისი, 0105, საქართველო  
ტელეფონი: +995 322 93 5713  
ინტერნეტი: www.kpmg.ge

შპს თეგეტა მოტორსი

ჩვენი საცნობარო  
ნომერი:

Ge//060/18

28 სექტემბერი 2018

## მმართველობითი ანგარიშების უწყისი

ძვირფასო ბატონებო,

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს 2018 წლის 28 სექტემბერს გამოცემულ „მმართველობით ანგარიშებაზე“. ჩვენ გამოვეცით ეს უწყისი, რადგან მმართველობითი ანგარიშება დათარიღებული 2018 წლის 28 სექტემბერით გამოცემულია კომპანიის და ჯგუფის ფინანსური ანგარიშგებების გამოცემის თარიღის შემდეგ. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შესახებ, რომელიც გამოთქმულია ჩვენს აუდიტორული დასკვნაში 2018 წლის 31 ივლისს, არ ეხება მმართველობით ანგარიშგებას.

აუდიტორთა დასკვნა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე არ მოიცავს იმ მოვლენების ეფექტს, რომელიც წარმოიშვა 2018 წლის 31 ივლისის შემდეგ. მმართველობით ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენათა ეფექტი, რომელიც ფინანსური აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ განხორციელდა, არ შემოწმებულა ჩვენს მიერ.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშგების გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განსაზღვრავს, შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშგება ფინანსურ ანგარიშგებებს ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

ჩვენ არ გამოვეცით რაიმე სახის რწმუნებას მმართველობითი ანგარიშგების შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობის ანგარიში და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებებს და ის არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

პატივისცემით,

KPMG Georgia LLC

ენდრიუ კოქსშელი  
ადმასრულებელი დირექტორი  
შპს „KPMG Georgia“

შპს „KPMG Georgia“, რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „KPMG“-ის ქსელის დამოუკიდებელი ფირმების წევრი, რომელიც ერთიანდება შვეიცარიულ ორგანიზაციაში „KPMG International Cooperative („KPMG International“).




შპს „თეგეტა მოტორსი“

2017 წლის  
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური  
მმართველობითი ანგარიშგება



ავთანდილ ჩერეთელი  
გენერალური დირექტორი



რევაზ ზიორაძე  
ფინანსური დირექტორი

## სარჩევი

„კომპანიის“ მიმოხილვა და ისტორია.....	3
კორპორაციული მართვა.....	5
საავტომობილო პარკის მიმოხილვა საქართველოში .....	6
ბიზნესი და ოპერაციები .....	7
შვილობილი კომპანიების მიმოხილვა.....	10
ბრენდები.....	11
"კომპანიის" სამომავლო გეგმები და 2017 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები .....	12
"თეგეტა ჯგუფის" კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაცია .....	13
"თეგეტა ჯგუფის" ფინანსური შედეგების მიმოხილვა .....	14

## „კომპანიის“ მიმოხილვა და ისტორია

შპს „თეგეტა მოტორსი“ დღეს ლიდერია საავტომობილო პროდუქტებისა და მომსახურების დარგში. ის წარმოადგენს უნივერსალურ კომპანიას, რომელიც მოღვაწეობს სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების, სასოფლო, სამშენებლო და სამრეწველო დანიშნულების ტექნიკით, სათადარიგო ნაწილებით, საპოხი მასალებით, საბურავებით ვაჭრობისა და ტექნიკური მომსახურების სფეროში. თეგეტა მოტორსი კორპორატიულ და საცალო კლიენტებს სთავაზობს მაღალი ხარისხის ავტო-პროდუქტებისა და სერვისის ფართო სპექტრს. მისი საქმიანობა რამდენიმე ბიზნეს მიმართულებად იყოფა, ესენია ავტო-საბურავები, ავტონაწილები, აკუმულატორები, საცხებ-საპოხი მასალები, დანადგარები და ავტოტექნომსახურება.

თეგეტა მოტორსს შვილობილ კომპანიებთან ერთად 1,300-მდე ადამიანი ჰყავს დასაქმებული. ემსახურება როგორც საცალო ისე კორპორატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციებს, გამოირჩევა დახვეწილი სავაჭრო ინფრასტრუქტურით და აერთიანებს 24 სერვის-ცენტრს, რომლებიც თბილისში და საქართველოს დიდ ქალაქებში მდებარეობს.

უმაღლესი დონის სერვისმა და საერთაშორისო სტანდარტების სერვის-ცენტრებმა განაპირობა ის, რომ „თეგეტა მოტორსს“, პირველად საქართველოში, ავტომობილების გაყიდვისა და მომსახურების სფეროში ჯერ ISO 9001:2000 და ISO 9001:2008, ხოლო შემდეგ ISO 9001:2015 სტანდარტის საერთაშორისო ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა. ბიზნეს-პროცესების ავტომატიზაციისა და მუშაობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, „თეგეტა მოტორსმა“ 2009 წელს დამოუკიდებლად დანერგა ბიზნესის მართვისა და ბიზნეს-პროცესების ადმინისტრირების ავტომატიზებული თანამედროვე პროგრამა „SAP“.

შპს „თეგეტა მოტორსი“ დამატებით ოპერირებს შემდეგი შვილობილი კომპანიების მეშვეობით:

- *შპს თეგეტა თრაქ ენდ ზას* - სხვადასხვა სახის მძიმე ტექნიკის იმპორტი, რეალიზაცია და გაყიდვის შემდგომი მომსახურება. MAN-ის, SCHMITZ CARGOBULL-ის, CIFA-ს, FAUN-ის, TEREX-ის, ISUZU-ს და მრავალი სხვა სპეციალური ტექნიკის მწარმოებელი კომპანიის ოფიციალური წარმომადგენელი და პარტნიორი საქართველოში.
- *შპს თეგეტა კონსტრაქსშენ ექვიფმენტ* - სამშენებლო და საგზაო ტექნიკის იმპორტი, რეალიზაცია და გაყიდვის შემდგომი მომსახურება. JCB-ის ოფიციალური დილერი საქართველოში.
- *შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს* - მსუბუქი ავტომობილების იმპორტი, რეალიზება და მომსახურება. „პორშეს“ და „მაზდას“ ოფიციალური იმპორტიორი საქართველოში.
- *შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა* - იაპონური ბრენდის Toyota-ს ოფიციალურ დილერი და ავტორიზებული სერვის ცენტრი საქართველოში.
- *შპს თეგეტა აკადემია* - სასწავლო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს საავტომობილო სფეროსთან დაკავშირებულ თეორიულ და პრაქტიკულ ტრენინგებს.

\* დეტალური ინფორმაცია „კომპანიის“ შვილობილი კომპანიების შესახებ მოცემულია 2017 წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში

ყველა ბიზნესი სტრუქტურირებულია, როგორც „კომპანიის“ 100%-იანი შვილობილი.

„კომპანიის“ ფილიალები და სერვის ცენტრები მოიცავენ საქართველოს ყველა მსხვილ დასახლებულ პუნქტებს.

თეგეტა მოტორსი აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროექტებში. „კომპანია“ ზედიზედ მეორე წელია ახორციელებს კამპანია „#არგამბოლო“-ს ორგანიზებას, რომლის ფარგლებშიც ათასობით ავტომობილს ჩაუტარდა გამონაბოლქვის უფასო ტესტირება.

## კორპორაციული მართვა

თეგეტა მოტორსში განსაზღვრულია კორპორაციული მართვის სხვადასხვა პროცესები, რომლებიც არეგულირებს შვილობილი კომპანიების კონტროლსა და მონიტორინგს, მარაგების, სავაჭრო მოთხოვნების და ვალდებულებების მართვას, ხელშეკრულებების და ახალი პროექტების მენეჯმენტს.

არსებული სტრუქტურის სრულყოფის მიზნით, „თეგეტა მოტორსი“ თანამშრომლობს ერთ-ერთ საერთაშორისო ორგანიზაციასთან, კორპორაციული მართვის პროექტის ფარგლებში. პროექტის მიზანია მოხდეს არსებული კორპორაციული მართვის გაუმჯობესება მსოფლიო საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით. ორგანიზაციის მხრიდან „თეგეტა მოტორსმა“ მიიღო რიგი რეკომენდაციები: ა) კორპორაციული მართვის გეგმის შემუშავებისა და განხორციელების, ბ) კორპორაციული სტრუქტურის გადაწყვეტილების შესახებ, გ) კორპორაციული მართვასთან დაკავშირებული დოკუმენტების მიღების, შესწორებისა და განახლების, და დ) კორპორაციული მდივნის ფუნქციის შექმნის ჭრილში. ამ რეკომენდაციების უმეტესობის დანერგვას „კომპანია“ გეგმავს 2018 წელში.



## საავტომობილო პარკის მიმოხილვა საქართველოში<sup>1</sup>

ავტოპარკი საქართველოში ყოველწლიურად იზრდება. ზრდის მაჩვენებელი 2017 წელს 6% იყო, ხოლო რეგისტრირებულ ავტომობილთა ჯამური რაოდენობა 1.2 მილიონი იყო. 2017 წლის მდგომარეობით ავტომობილების 60% მსუბუქია, 21% მსუბუქი მაღალი გამავლობის (SUV), 8% სატვირთო, 4% სამგზავრო, 2% სასოფლო-სამეურნეო, ხოლო დანარჩენი 5% წარმოადგენს მოტოტრანსპორტს, სპეციალიზებულ ავტოტრანსპორტს და სხვა ტიპის ავტოტრანსპორტს. ავტოპარკის მნიშვნელოვანი ნაწილი (91%) 2007 წლამდეა წარმოებული. 3 წლამდე ასაკის ავტოსატრანსპორტო საშუალებები ავტოპარკის მხოლოდ 1.5%-ს შეადგენს.

---

<sup>1</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

## ბიზნესი და ოპერაციები

### თეგეტა მოტორსის მიმოხილვა

შვილობილების მეშვეობით ავტომობილების გაყიდვის გარდა თეგეტა მოტორსის ასორტიმენტი ასევე მოიცავს შემდეგ პროდუქციას: საბურავები, ზეთები, აკუმულატორები, სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების ნაწილები, ფილტრები, ავტომობილის აქსესუარები და მოვლის საშუალებები, საავტოფარეხო და ინდუსტრიული დანადგარები, ფოლადის გვარლები და საკონვეიერო ლენტები, სპეც ტექნიკის ნაწილები, დიზელის აგრეგატების ნაწილები.

თეგეტა მოტორსი მომხმარებლებს სთავაზობს როგორც მსუბუქი ავტომობილების სერვისის სრულ სპექტრს ასევე სატვირთო და სპეც-ტექნიკის ხარისხიან მომსახურებას. თეგეტა მოტორსის სერვისის თანამშრომლები ყოველწლიურად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს უცხოელ პარტნიორებთან როგორებიცაა: ZF, BOSCH, SCHAEFFLER, SHELL, DENSO, FEBI, MOTUL, VARTA. აღნიშნული სერვისცენტრები დაკომპლექტებულია თანამედროვე მანქანა-დანადგარებით. "თეგეტა მოტორსი" კორპორატიულ და საცალო მომხმარებელს ავტოტექნომსახურების სრულ ასორტიმენტს სთავაზობს, რაც მოიცავს თითქმის ყველა მსუბუქი და სატვირთო სატრანსპორტო საშუალებების, მათ შორის: ავტობუსების, სამშენებლო და სპეცტექნიკის, სასოფლო-სამეურნეო და მიწისმთხრელი ტექნიკის დიაგნოსტიკას და შეკეთებას სპეციალური, ავტორიზებული პროგრამების მეშვეობით. მომსახურება მოიცავს:

- ვულკანიზაცია;
- სავალი ნაწილის შეკეთება;
- ელ. სისტემის დიაგნოსტიკა და შეკეთება;
- ძრავის დიაგნოსტიკა და შეკეთება;
- თვლების შეყრის გასწორება;
- დისკების გასწორება;
- ძრავში ზეთის შეცვლა;
- ავტომატურ კოლოფში ზეთის შეცვლა;
- წინა მაშუქების გასწორება სტენდზე;
- გადაცემათა კოლოფის შეკეთება;
- საწვავი სისტემის დიაგნოსტიკა და შეკეთება;
- სამღებრო და სათუნუქე სამუშაოები;
- ბუნებრივი აირის მონტაჟი;
- რეცხვა.

## გაყიდვის არხები

თეგეტა მოტორსი ბაზარს უკავშირდება გაყიდვების 4 მთავარი არხით:

- საცალო
- კორპორატიული
- სახელმწიფო ტენდერები
- საბითუმო

### *საცალო ვაჭრობა*

კომპანიას ჰყავს 230,000 ერთეულების ბარათის მფლობელი ყოველწლიურად აქტიური კლიენტი. კლასიკ ბარათი - 160,000, ვერცხლის ბარათი - 40,000, ხოლო ოქროს ბარათი - 30,000. თეგეტა მოტორსი მომხმარებლებს ლოიალობის ბარათების მფლობელებს შეუძლიათ ისარგებლონ როგორც დაგროვებადი სისტემით, ისე ფასდაკლებით. დაგროვებული ქულებით მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა შეიძინოს მისთვის სასურველი პროდუქტი ბარათის 1 გატარებით.

### *კორპორატიული კლიენტები*

„თეგეტა მოტორსი“ ემსახურება 30,000-ზე მეტ კორპორატიულ კლიენტს საქართველოში არსებული ყველა ბიზნეს სექტორიდან, იქნება ეს სამთო-სამომპოვებლო, სამშენებლო, სადისტრიბუციო, ენერჯო სექტორი თუ სხვა. თეგეტა მოტორსი კორპორატიულ კლიენტებს სთავაზობს სპეციალურ ფასებს და ხელსაყრელ პირობებს, ასევე სპეციალურად მათთვის შემუშავებულია ონლაინ პლატფორმა mycarhistory სადაც ორგანიზების მენეჯერებს აქვთ საშუალება ნახონ ონლაინ რეჟიმში მათი კომპანიის ავტომობილების სერვისის ისტორია, დანახარჯები, დაზოგილი თანხები და სხვა სტატისტიკური მონაცემი.

### *სახელმწიფო ტენდერები*

„თეგეტა მოტორსი“ ემსახურება 900-მდე საჯარო ორგანიზაციას. რაც გარკვეულწილად უზრუნველყოფს მომავალში სახელმწიფო სატრანსპორტო და ინფრასტრუქტურული პროექტების ზრდის შესაბამისად გაიზარდოს ბიზნესის ეს მოცულობაც.

### *საბითუმო ვაჭრობა*

თეგეტა მოტორსი აქტიურად მოქმედებს საბითუმო გაყიდვებს სფეროში. კომპანიას ჰყავს 2,000-ზე მეტი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის მასშტაბით. 2017 წელს „თეგეტა მოტორსმა“ შექმნა საბითუმო პორტალი, რის საშუალებითაც სავაჭრო პარტნიორებს შეუძლიათ მიიღონ სასურველი პროდუქტი ოფისიდან გაუსვლელად, ონლაინ შეკვეთების საშუალებით.

„თეგეტა ჯგუფის“ / „ჯგუფის“ სტრუქტურა მოიცავს კომპანიებს, რომლებიც ჩართულნი არიან ავტომობილებისა და საავტომობილო პროდუქტების იმპორტის, დისტრიბუციის და სერვისის საცალო ვაჭრობის საქმიანობაში.

საცალო გაყიდვების გარდა „კომპანია“ არის ლიდერი კორპორაციული გაყიდვებისა და სახელმწიფო ტენდერების ნაწილში.

სრულად კონსოლიდირებული შვილობილები წარმოადგენენ საოპერაციო ერთეულებს, რომლებიც კონცენტრირებას აკეთებენ ბიზნესის კონკრეტულ მიმართულებაზე. ასეთი კორპორაციული სტრუქტურა „კომპანიას“ საშუალებას აძლევს თითოეულ ერთეულში მიაღწიოს რესურსების გამოყენების მაქსიმალურ ეფექტურობას.

„ჯგუფის“ ბიზნესი პირობითად 5 ნაწილად შეიძლება დაიყოს:

- საავტომობილო პროდუქტების იმპორტს, დისტრიბუციას, საცალო გაყიდვებს და ავტომობილების სერვისს ახორციელებს შპს „თეგეტა მოტორსი“;
- სპეციალური ტექნიკის, ავტობუსების იმპორტს და გაყიდვებს ახორციელებს შპს „თეგეტა თრაქენდ ბას“;
- სამშენებლო და საგზაო ტექნიკისა და სათადარიგო ნაწილების იმპორტს, გაყიდვებს და საგარანტიო მომსახურებას ახორციელებს შპს „თეგეტა კონსტრაქსშენ ექვიფმენტ“;
- სამარკო ნიშნის ავტომობილების, როგორცაა „პორშე“ და „მაზდა“, იმპორტს, გაყიდვებსა და მომსახურებას ახორციელებს შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელს“;
- იაპონური ბრენდ „ტოიოტა“-ს იმპორტსა და გაყიდვებზეა მთლიანად ორიენტირებული შპს „ტოიოტა ცენტრი თეგეტა“

„კომპანიის“ მენეჯმენტის აზრით, ამჟამინდელი სტრუქტურა საოპერაციო და ეკონომიკური საჭიროებიდან შეიქმნა. იმპორტის სემენტი თავდაპირველად მასალების სტაბილური მოწოდებისა და ფასების მისაღებად იყო საჭირო. „კომპანიას“ ასევე გააჩნია პირდაპირი კავშირები მომწოდებლებთან, რაც აუცილებელია ოპერაციების სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

## შვილობილი კომპანიების მიმოხილვა

- **შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას** - დაარსდა 2006 წელს, როგორც ერთ-ერთი უმსხვილესი გერმანული საავტომობილო კონცერნის, MAN TRUCK & BUS AG-ის ოფიციალური იმპორტიორი საქართველოში. დღეისათვის კომპანია MAN-ის, SCHMITZ CARGOBULL-ის, CIFA-ს, FAUN-ის, TEREX-ის, ISUZU-ს და მრავალი სხვა სპეციალური ტექნიკის მწარმოებელი კომპანიის ოფიციალური წარმომადგენელი და პარტნიორია საქართველოში.
- **შპს თეგეტა კონსტრაქსშენ ექვიფმენტ** - დაარსდა 2007 წელს. JCB-ის ოფიციალური დილერია საქართველოში. იგი მომხმარებელს სთავაზობს ცნობილი ბრიტანული ბრენდის, JCB-ის სამშენებლო და საგზაო ტექნიკას სრული საგარანტიო მომსახურებით, ასევე ნებისმიერი სამშენებლო ტექნიკის სერვისსა და სათადარიგო ნაწილებს.
- **შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს** - დაარსდა 2010 წელს. „პორშე“ და „მაზდა“-ს ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში. 2011 წელს კომპანიამ გახსნა „პორშე ცენტრი თბილისი“, ხოლო 2012 წელს ქართულ ბაზარზე შემოიყვანა იაპონური ბრენდი „მაზდა“. ახდენს აღნიშნული სამარკო ნიშნის მქონე მსუბუქი ავტომობილების იმპორტს, რეალიზებასა და პორშე და მაზდას სამარკო ნიშნის მქონე მსუბუქი ავტომობილების მომსახურებას.
- **შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა** - დაარსდა 2013 წელს. TOYOTA-ს ოფიციალური დილერია საქართველოში. 2013 წელს „თეგეტა მოტორსსა“ და „ტოიოტა კავკასიას“ შორის ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება შედგა და 2013 წლის 26 აგვისტოს დაფუძნდა „TOYOTA CENTER TEGETA.“ 2014 წელს კომპანიამ „ტოიოტა კავკასიისგან“ ტოიოტას დილერისა და ავტორიზებული სერვისცენტრის სტატუსი მიიღო. კომპანია მონობრენდულია და მისი მომსახურება სრულიად ტოიოტას ბრენდის ავტომობილებზეა ფოკუსირებული.
- **შპს თეგეტა აკადემია** - იურიდიულ პირად დაარსდა 2017 წელს. სასწავლო ცენტრის მიზანია პროფესიული განათლების პოპულარიზაცია ქვეყანაში, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება ავტომომსახურების სფეროში და მათი შემდგომი დასაქმება. 2017 წელს სასწავლო ცენტრის, “თეგეტა აკადემიის“ ფარგლებში 200-მდე პირმა გაიარა გადამზადება და აქედან 114 პირი დასაქმდა „თეგეტა მოტორსის“ სხვადასხვა ფილიალებში. აკადემიის სასწავლო კურსს უძღვებიან როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ტრენერები, მსოფლიოს წამყვანი ავტოინდუსტრის სფეროდან, როგორებიც გახლავთ ზოში, მოტული, პორშე, ტოიოტა და სხვა მსოფლიო წამყვანი ბრენდები.

\* დეტალური ინფორმაცია „კომპანიის“ შვილობილი კომპანიების შესახებ მოცემულია 2017 წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

## ბრენდები

„თეგეტა ჯგუფმა“ ჩამოაყალიბა პარტნიორული ურთიერთობები მრავალ საერთაშორისო მწარმოებელთან და ბრენდთან. თეგეტა მოტორსი ოფიციალურად წარმოადგენს გლობალურ საავტომობილო ბრენდებს. ყველაზე მნიშვნელოვანი ბრენდების სია შემდეგია:

- Bridgestone
- Michelin
- Continental
- Shell
- Mobil
- Motul
- Varta-johnson Controls
- Bosch
- ZF group
- Denso
- Febi
- Hengst
- MAN
- Toyota
- Porsche
- Mazda
- Hyudai
- JCB

„ჯგუფში“ წარმოდგენილია თითქმის ყველა წამყვანი მწარმოებელი ავტონაწილების და მასალების მწარმოებელი კომპანიის პროდუქცია. მსხვილი ბრენდების სია შემდეგ სურათშია ნაჩვენები:



„კომპანია“ ყოველწლიურად ზრუნავს მაღალტექნოლოგიურ განვითარებაზე მსოფლიოს წამყვანი ბრენდების მხარდაჭერით, დასავლური ცოდნის, გამოცდილების გაზიარებითა და საკუთარ საქმიანობაში დანერგვით. „თეგეტა მოტორსი“ მუდმივად ხარისხზეა ორიენტირებული, სწორედ ამაზე მეტყველებს „კომპანიის“ უცვლელი სლოგანი „დროა აირჩიო ხარისხი“.



## „კომპანიის“ სამომავლო გეგმები და 2017 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები

### სამომავლო გეგმები

„კომპანია“ მიზნად ისახავს გააგრძელოს ბოლო წლების წარმატებული საქმიანობა და შესაბამისად შეიმუშავა გარკვეული სტრატეგიული პრიორიტეტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის შემდგომ ზრდას. "თეგეტა მოტორსის" ძირითადი სტრატეგიული მიზნები მომავალი წლებისთვის მოიცავს:

- კომპანიის პოზიციის გამყარება ბაზარზე და ბაზრის წილის ზედა ყველა მიმართულებით;
- პროდუქციის დივერსიფიკაცია ბაზარზე მოსალოდნელი რყევების თავიდან ასაცილებლად;
- ფილიალების ქსელის გაფართოება საქართველოს მასშტაბით;
- ახალი ბაზრების ათვისება საქართველოს ფარგლებს გარეთ პარტნიორებთან ერთად.

### 2017 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები

- გაიხსნა ახალქალაქის ფილიალი;
- გაიხსნა მარნეულის ფილიალი;
- გაიხსნა თელავის ფილიალი;
- განხორციელდა რუხის ფილიალის წარმადობის ზრდა - დამატებულია 15 სამუშაო წერტილი;
- გაიხსნა თეგეტა აკადემიის თბილისის სასწავლო ცენტრი;
- „თეგეტა მოტორსმა“ ითანამშრომლა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან და მიიღო სიდრმისეული რეკომენდაციები კორპორაციული მართვის კუთხით;
- კომპანიამ მიიღო ფიჩის რეიტინგი, რასაც აღნიშნულ დარგში ანალოგი არ აქვს კავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპაში.
- „კომპანიამ“ მრავალფუნქციური პორტალი „shop.tegetamotors“ შეიმუშავა, რომელიც პრაქტიკული პლატფორმაა მომხმარებლისთვის და წარმოადგენს ავტოსათადარიგო ნაწილების ონლაინ კატალოგს.

## **„თეგეტა ჯგუფის“ კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაცია**

შპს „თეგეტა მოტორსი“ მის შვილობილ კომპანიებთან ერთად წარმოადგენს ერთიან ბიზნეს-ჯგუფს. „კომპანია“ სრულად აკონსოლიდირებს შვილობილების ფინანსურ შედეგებს და წარადგენს ერთიანი ბიზნეს-ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. „ჯგუფის“ ფინანსური ანგარიშგება შეიცავს შვილობილების ფინანსურ შედეგებს მათზე კონტროლის მოპოვების დღიდან კონტროლის დაკარგვის დღემდე. ბიზნესების შექმნა აღირიცხება შესყიდვის მეთოდით, რომლის მიხედვითაც შექმნილი ბიზნესის აქტივები და ვალდებულებები შექმნის დღისთვის მათი სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება. „ჯგუფის“ არსებული სტრუქტურა ვერტიკალური ინტეგრაციიდან გამომდინარეობს და მნიშვნელოვან სარგებელს ნახულობს შვილობილებს შორის ვაჭრობის გზით. ამ ურთიერთობებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული ნამეტი ელიმინირდება კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. „თეგეტა ჯგუფის“ ფინანსური ანგარიშგება წარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიხედვით. ამ დოკუმენტში წარმოდგენილი 2016 და 2017 ფისკალური წლების ფინანსური ანგარიშგებები აუდიტორულად შემოწმებულია დიდი ოთხეულის წევრი აუდიტორული კომპანიების მიერ.

## „თეგეტა ჯგუფის“ ფინანსური შედეგების მიმოხილვა

### შემოსავლები, რეალიზებული საქონლის თვითღირებულება და საერთო მოგება

„თეგეტა ჯგუფის“ ბრუნვა მოიცავს კლიენტებზე განხორციელებულ გაყიდვებს „ჯგუფში“ შემავალი მშობელი კომპანიის და შვილობილების მიერ. 2017 წელს „თეგეტა ჯგუფის“ გაყიდვებმა 347.35 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 27.7%-ით აღემატებოდა წინა წლის შედეგს, როდესაც გაყიდვებმა 271.98 მილიონი ლარი შეადგინა. ბოლო ორი წლის განმავლობაში რეალიზებული საქონლისა და მომსახურებების თვითღირებულება შემოსავლების მოცულობის მსგავსად იცვლებოდა. შედეგად, საერთო მოგების მარჟა შედარებით სტაბილურ დონეზე რჩებოდა და 20.2%-სა და 20.1%-ს შორის მერყეობდა.

(ათას ლარში)	2016	2017
<b>შემოსავლები</b>	<b>271,978</b>	<b>347,347</b>
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(217,438)	(277,155)
<b>საერთო მოგება</b>	<b>54,540</b>	<b>70,192</b>
<b>საერთო მოგების მარჟა</b>	<b>20.1%</b>	<b>20.2%</b>

### საოპერაციო ხარჯები და მოგება საოპერაციო საქმიანობიდან

2017 წელს საოპერაციო მოგებამ 33.585 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო საოპერაციო მოგების მარჟამ 9.7%. 2017 წლის მონაცემი 52.3%-ით მეტია წინა წელთან შედარებით, როდესაც საოპერაციო მოგებამ 22.05 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო საოპერაციო მოგების მარჟამ - 8.1%.

(ათას ლარში)	2016	2017
<b>შემოსავლები</b>	<b>271,978</b>	<b>347,347</b>
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(217,438)	(277,155)
<b>საერთო მოგება</b>	<b>54,540</b>	<b>70,192</b>
სხვა საოპერაციო შემოსავლები	1,782	5,048
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(28,427)	(35,613)
რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯები	(3,691)	(4,371)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(2,153)	(1,671)
<b>საოპერაციო მოგება</b>	<b>22,051</b>	<b>33,585</b>
<b>საოპერაციო მოგების მარჟა</b>	<b>8.1%</b>	<b>9.7%</b>

საოპერაციო მოგების მოცულობის და საოპერაციო მოგების მარჟის ზრდა პირველ რიგში გამოწვეული იყო შემოსავლების ზრდით, რომელმაც 2017 წელს შეადგინა 347.35 მილიონი ლარი, რაც 27.7%-ით აღემატება 2016 წლის შემოსავლების მაჩვენებელს - 271.98 მილიონ ლარს. ასევე, სხვა საოპერაციო შემოსავლის ზრდით, რომელიც 2016 წელს არსებულ 1.78 მილიონ ლართან შედარებით 183.3%-ით გაიზარდა 2017 წელს და 5.05 მილიონი ლარი შეადგინა.

2017 წელს ზრდის მთავარი ფაქტორები იყო შემოსავლების ზრდა მსუბუქი ავტომობილებისა და საბურავების მიმართულებით. 2017 წელს ავტომობილების გაყიდვებმა შეადგინა 111.06 მილიონი ლარი, რომელიც 23.6%-ით აღემატებოდა წინა წლის შემოსავლების მაჩვენებელს - 89.85 მილიონი ლარი. მსუბუქი ავტომობილების შემოსავლების ზრდა ძირითადად გამოწვეული იყო ტოიოტას ბრენდის ავტომობილების შემოსავლებით მაზდასთან და პორშესთან ერთად. საბურავების გაყიდვებმა 2017 წელს შეადგინა 74.77 მილიონი ლარი, საიდანაც კორპორატიულ არხს ეჭირა ყველაზე მეტი წილი - 34.0%. 2016 წელთან შედარებით - 56.78 მილიონი ლარი, საბურავების შემოსავლები 2017 წელს გაიზარდა 31.7%-ით. ასევე, შემოსავლების ზრდა გამოწვეული იყო ახალი ფილიალების გახსნით - მარნეულში, გორში, ახალქალაქში, თელავსა და თბილისში.

2017 წელს არსებული მაღალი სხვა საოპერაციო შემოსავლები ძირითადად გამოწვეული იყო 2,15 მილიონი ლარის საკომისიო შემოსავლით, რომელიც „თეგეტა თრაქ ენდ ბასმა“ მიიღო „MAN Truck and Bus AG“-ის მიერ 2017 წელს შემოყვანილი 102 ლურჯი ავტობუსიდან და ჯამურად შემოყვანილი 143 ლურჯი ავტობუსის საგარანტიო მომსახურებიდან.

<b>სხვა საოპერაციო შემოსავლები (ათას ლარში)</b>	<b>2016</b>	<b>2017</b>
სააგენტო მომსახურების საკომისიო	655	2,150
გაუფასურების ანარიცხებისა და სხვა მოთხოვნებზე	-	581
მარაგების ჩამოწრის აღდგენა	-	485
სადაზღვევო მოთხოვნის ანაზღაურება	112	98
შემოსავალი სასაწყობო მომსახურებიდან	64	80
საოპერაციო საიჯარო შემოსავალი	93	74
შემოსავლები დივიდენდებიდან	40	45
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	16	55
სხვა შემოსავალი	802	1,480
<b>სულ</b>	<b>1,782</b>	<b>5,048</b>

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2017 წელს 25.3%-ით გაიზარდა და 35.61 მილიონი ლარი შეადგინა. 2016 წელს ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 28.43 მილიონ ლარს შეადგენდა. ზრდის მთავარი გამომწვევი ფაქტორი, ისევე როგორც ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების უდიდესი ნაწილი, თანამშრომელთა ანაზღაურება იყო, რომელმაც 2017 წელს 20.06 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 21.7%-იან ზრდას წარმოადგენს, როდესაც თანამშრომელთა ანაზღაურების ხარჯი 16.48 მილიონი ლარი იყო. ხარჯის ზრდის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი ახალი ფილიალების გახსნა იყო, რამაც ასევე განაპირობა ქირის ხარჯის მატება წინა წელთან შედარებით.

<b>ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები (ათას ლარში)</b>	<b>2016</b>	<b>2017</b>
პერსონალის ხარჯი	(16,482)	(20,062)
საიჯარო ხარჯი	(2,910)	(3,642)
ცვეთა და ამორტიზაცია	(2,572)	(2,735)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(1,377)	(1,956)
საოფისე ხარჯი	(1,064)	(1,614)
პროფესიონალური მომსახურებები	(955)	(1,484)
კომუნალური ხარჯი	(914)	(1,108)
სამივლინებო ხარჯი	(534)	(687)
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	(283)	(524)
საკომუნიკაციო ხარჯი	(289)	(399)
უსაფრთხოება	(351)	(379)
საბანკო ხარჯები	(235)	(270)
საწვავის ხარჯი	(119)	(222)
სხვა ხარჯები	(342)	(531)
<b>სულ</b>	<b>(28,427)</b>	<b>(35,613)</b>

## EBITDA

საოპერაციო მოგების და საოპერაციო მოგების მარჟის ზრდასთან ერთად შესამჩნევად გაიზარდა EBITDA და EBITDA მარჟა. 2017 წელს EBITDA 37.98 მილიონი ლარი იყო, რაც 45.1%-ით მეტია წინა წელთან შედარებით, როდესაც EBITDA 26.17 მილიონი ლარი იყო. EBITDA მარჟა 2017 წელს 10.9% იყო, ხოლო 2016 წელს - 9.6%. EBITDA-ს და მისი მარჟის ზრდა ძირითადად გამოწვეული იყო 2017 წელს მიღებული სააგენტო მომსახურების საკომისიო შემოსავლით.

(ათას ლარში)	2016	2017
<b>შემოსავლები</b>	<b>271,978</b>	<b>347,347</b>
საოპერაციო მოგება	22,051	33,585
ცვთის ხარჯი	(3,777)	(3,996)
ამორტიზაციის ხარჯი	(345)	(394)
<b>EBITDA</b>	<b>26,173</b>	<b>37,975</b>
<b>EBITDA მარჟა</b>	<b>9.6%</b>	<b>10.9%</b>

## ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი) და წმინდა მოგება

„თეგეტა ჯგუფის“ ფინანსური ხარჯი უმეტესწილად წარმოადგენს საპროცენტო ხარჯს „თეგეტა ჯგუფის“ საბანკო ვალებსა და სხვა ინსტრუმენტებზე. 2017 წელს საპროცენტო ხარჯმა 8.92 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 23.1%-ით მეტია წინა წელთან შედარებით, როდესაც საპროცენტო ხარჯი 7.24 მილიონი იყო. საპროცენტო ხარჯის ზრდა გამოწვეული იყო 2017 წლის განმავლობაში სასესხო ვალდებულებების მოცულობის ზრდით<sup>2</sup>.

2017 წელს დაფიქსირდა მოგება საკურსო სხვაობიდან 2.97 მილიონი ლარი, რაც გამოწვეული იყო ბანკთან დადებული ფორვარდული ხელშეკრულებებითა და 2017 წელს არსებული სესხების ნაწილის გალარებით, რომელიც 2017 წლის ბოლოს ჩაიხურა, რამაც მიუხედევად საშუალო წლიური ლარის კურსის გაუფასურებისა, „ჯგუფისთვის“ მოიტანა დამატებითი სარგებელი. 2016 წელს ზარალმა საკურსო სხვაობიდან 11.35 მილიონი ლარი შეადგინა.

(ათას ლარში)	2016	2017
<b>შემოსავლები</b>	<b>271,978</b>	<b>347,347</b>
<b>საოპერაციო მოგება</b>	<b>22,051</b>	<b>33,585</b>
საპროცენტო შემოსავალი	174	240
საპროცენტო ხარჯი	(7,244)	(8,919)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შემოსულობა / (ზარალი)	(11,346)	2,971
საკომისიო ხარჯები	(1,665)	(326)
მეკავშირე კომპანიების შედეგების წილი	(14)	13
<b>მოგება დაბეგრამდე</b>	<b>1,956</b>	<b>27,564</b>
მოგების გადასახადის შეღავათი/(ხარჯი)	5,440	(608)
<b>წმინდა მოგება</b>	<b>7,396</b>	<b>26,956</b>
<b>წმინდა მოგების მარჟა</b>	<b>2.7%</b>	<b>7.8%</b>

<sup>2</sup> დეტალური ინფორმაცია კომპანიის მიერ ფინანსური რისკების მართვის შესახებ მოცემულია 2017 წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს „თეგეტა მოტორსი“

2017 წლის

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური  
ანგარიშგებები



# სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება .....	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება .....	2
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება .....	3
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება .....	4
1 „თეგეტა მოტორსის“ ჯგუფი და მისი საქმიანობა .....	5
2 „ჯგუფის“ სამუშაო გარემო .....	6
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები .....	6
4 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებით .....	16
5 ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული .....	17
6 ძირითადი საშუალებები .....	18
7 არამატერიალური აქტივები .....	20
8 მარაგები .....	21
9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები .....	21
10 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები .....	22
11 სესხები .....	22
12 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები .....	24
13 შემოსავლები .....	24
14 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება .....	25
15 სხვა საოპერაციო შემოსავლები .....	25
16 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები .....	25
17 ფინანსური ხარჯები .....	26
18 ფინანსური შემოსავალი .....	26
19 საწესდებო კაპიტალი .....	26
20 მოგების გადასახადი .....	26
21 პირობითი ვითარებები და ვალდებულებები .....	27
22 ფინანსური რისკების მართვა .....	28
23 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება .....	32
24 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან .....	32
25 ანგარიშგების წარდგენის შემდგომი მოვლენები .....	34



შპს „KPMG Georgia“

ჯი ემ თი პლაზა, მე-5 სართული

თავისუფლების მოედანი №4

თბილისი, 0105 საქართველო

ტელეფონი: +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.ge

## დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „თეგეტა მოტორსის“ აქციონერებს

### დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „თეგეტა მოტორსის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები, ყველა არსებით ასპექტში, სამართლიანად ასახავს „ჯგუფის“ და „კომპანიის“ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

### დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ები) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ „ჯგუფისგან“ და „კომპანიისგან“ დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაბამის საფუძველს.

### სხვა საკითხები

„ჯგუფის“ და „კომპანიის“ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგების აუდიტი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის სხვა აუდიტორებმა ჩაატარეს, რომლებმაც ხსენებულ ანგარიშგებასთან დაკავშირებით 2017 წლის 17 ივლისს გამოსცეს არამოდიფიცირებული დასკვნა.

### ხელმძღვანელობის ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს „ხელმძღვანელობის ანგარიშზე“. „ხელმძღვანელობის ანგარიში“ ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ჩვენთვის წინამდებარე აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების შესახებ არ მოიცავს „ხელმძღვანელობის ანგარიშს“ და ჩვენ არანაირი ფორმით არ გავცემთ მასთან დაკავშირებულ მტკიცებულებას.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს „ხელმძღვანელობის ანგარიშის“ წაკითხვას მას შემდეგ, რაც ის ხელმისაწვდომი გახდება და, შესაბამისად, იმის განსაზღვრას არის თუ არა „ხელმძღვანელობის ანგარიში“ არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნასთან მიმართებაში, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს ის არსებით უზუსტობებს.

„ხელმძღვანელობის ანგარიშის“ წაკითხვისას, ჩვენ ვასკვნით:

- შეესაბამება თუ არა სხვა ინფორმაცია კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებს და ხომ არ მოიცავს ის არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს თუ არა ის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ და მასთან შესაბამისობაში მყოფ ყველა ინფორმაციას.

### **ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს „ჯგუფის“ და „კომპანიის“ საქმიანობის უწყვეტობის უნარი, საჭიროებისამებრ გამოაჩინოს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის აღნიშნული პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს „ჯგუფის“ და „კომპანიის“ ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს ოპერაციები, ან არ ექნება რაიმე სხვა სამართლიანი ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული ქმედებებისა.

### **აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე**

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობებს ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძველის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული

არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;

- ვახდენთ აუდიტის მიზნებისთვის რელევანტური შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა „ჯგუფის“ და „კომპანიის“ შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატად;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვის ქვეშ დააყენოს „ჯგუფის“ და „კომპანიის“ საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენ მიერ აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს „ჯგუფის“ და „კომპანიის“, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მთლიან წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, სამართლიანად წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს;
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაბამის აუდიტორულ მტკიცებულებას ორგანიზაციის ფინანსური ინფორმაციის და „ჯგუფის“ ფარგლებში ბიზნეს საქმიანობის შესახებ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე აზრის გამოსახატად. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ „ჯგუფის“ აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვინარჩუნებთ პასუხისმგებლობას ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

სხვა საკითხებთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის ფარგლებსა და ვადებზე, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული აღმოჩენების, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში შიდა კონტროლის მექანიზმებში აღმოჩენილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული „დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა“ გაიცა, არის:

ენდრიუ კოქსშელი





არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;

- ვახდენთ აუდიტის მიზნებისთვის რელევანტური შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა „ჯგუფის“ და „კომპანიის“ შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატად;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს „ჯგუფის“ და „კომპანიის“ საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენ მიერ აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს „ჯგუფის“ და „კომპანიის“, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მთლიან წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, სამართლიანად წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს;
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაბამის აუდიტორულ მტკიცებულებას ორგანიზაციის ფინანსური ინფორმაციის და „ჯგუფის“ ფარგლებში ბიზნეს საქმიანობის შესახებ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე აზრის გამოსახატად. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ „ჯგუფის“ აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვინარჩუნებთ პასუხისმგებლობას ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

სხვა საკითხებთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის ფარგლებსა და ვადებზე, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული აღმოჩენების, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში შიდა კონტროლის მექანიზმებში აღმოჩენილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული „დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა“ გაიცა, არის:

ენდრიუ კოქსშელი

შპს „KPMG Georgia“  
 31 ივლისი, 2018 წელი



შპს „თეგეტა მოტორსი“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება  
(თანხები მოცემულია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე)

შენიშვნა	ჯგუფი		კომპანია	
	31 დეკემბერი, 2017 წელი	31 დეკემბერი, 2016 წელი	31 დეკემბერი, 2017 წელი	31 დეკემბერი, 2016 წელი
<b>აქტივები</b>				
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>				
ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება				
ქონება	6	71,166	62,302	61,304
არამატერიალური აქტივები	7	3,178	2,745	3,128
იჯარის ავანსები		1,764	1,887	-
გაცემული სესხები		-	-	249
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	1	-	-	3,038
ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში		267	254	206
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>		<b>76,375</b>	<b>67,188</b>	<b>67,676</b>
<b>მიმდინარე აქტივები</b>				
მარაგები	8	70,183	48,119	51,712
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	20,799	19,311	13,676
ავანსები		5,083	5,406	3,161
გაცემული სესხები		1,488	1,108	1,482
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	13,902	5,443	4,885
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>		<b>111,455</b>	<b>79,387</b>	<b>74,916</b>
<b>სულ აქტივები</b>		<b>187,830</b>	<b>146,575</b>	<b>142,592</b>
<b>საკუთარი კაპიტალი</b>				
საწესდებო კაპიტალი	19	4,133	4,133	4,133
გაუნაწილებელი მოგება		44,119	21,163	43,949
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>48,252</b>	<b>25,296</b>	<b>48,082</b>
<b>ვალდებულებები</b>				
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>				
სესხები	11	64,954	39,775	45,353
გადავადებული შემოსავალი		2,162	1,039	-
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		<b>67,116</b>	<b>40,814</b>	<b>45,353</b>
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>				
სესხები	11	30,484	50,069	17,300
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	31,851	24,081	26,980
გადავადებული შემოსავალი		618	306	55
საგადასახადო ვალდებულებები		3,649	3,026	2,982
მიღებული ავანსები		5,860	2,983	1,840
<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>		<b>72,462</b>	<b>80,465</b>	<b>49,157</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>139,578</b>	<b>121,279</b>	<b>94,510</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>187,830</b>	<b>146,575</b>	<b>142,592</b>

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია 2018 წლის 31 ივლისს.

ავთანდილ წერეთელი  
გენერალური დირექტორი

რევაზ ზირაქაძე  
ფინანსური დირექტორი





შპს „თეგეტა მოტორსი“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება  
(თანხები მოცემულია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე)

	შენიშვნა	ჯგუფი		კომპანია	
		31 დეკემბერი, 2017 წელი	31 დეკემბერი, 2016 წელი	31 დეკემბერი, 2017 წელი	31 დეკემბერი, 2016 წელი
<b>აქტივები</b>					
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>					
ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება					
ქონება	6	71,166	62,302	61,304	52,516
არამატერიალური აქტივები	7	3,178	2,745	3,128	2,686
იჯარის ავანსები		1,764	1,887	-	-
გაცემული სესხები		-	-	-	249
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	1	-	-	3,038	98
ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში		267	254	206	206
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>		<b>76,375</b>	<b>67,188</b>	<b>67,676</b>	<b>55,755</b>
<b>მიმდინარე აქტივები</b>					
მარაგები	8	70,183	48,119	51,712	38,127
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	20,799	19,311	13,676	12,238
ავანსები		5,083	5,406	3,161	1,834
გაცემული სესხები		1,488	1,108	1,482	1,608
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	13,902	5,443	4,885	2,438
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>		<b>111,455</b>	<b>79,387</b>	<b>74,916</b>	<b>56,245</b>
<b>სულ აქტივები</b>		<b>187,830</b>	<b>146,575</b>	<b>142,592</b>	<b>112,000</b>
<b>საკუთარი კაპიტალი</b>					
საწესდებო კაპიტალი	19	4,133	4,133	4,133	4,133
გაუნაწილებელი მოგება		44,119	21,163	43,949	29,310
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>48,252</b>	<b>25,296</b>	<b>48,082</b>	<b>33,443</b>
<b>ვალდებულებები</b>					
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>					
სესხები	11	64,954	39,775	45,353	18,600
გადავადებული შემოსავალი		2,162	1,039	-	-
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		<b>67,116</b>	<b>40,814</b>	<b>45,353</b>	<b>18,600</b>
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>					
სესხები	11	30,484	50,069	17,300	35,902
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	31,851	24,081	26,980	20,758
გადავადებული შემოსავალი		618	306	55	-
საგადასახადო ვალდებულებები		3,649	3,026	2,982	2,129
მიღებული ავანსები		5,860	2,983	1,840	1,168
<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>		<b>72,462</b>	<b>80,465</b>	<b>49,157</b>	<b>59,957</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>139,578</b>	<b>121,279</b>	<b>94,510</b>	<b>78,557</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>187,830</b>	<b>146,575</b>	<b>142,592</b>	<b>112,000</b>

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია 2018 წლის 31 ივლისს.

  
ავთანდილ წერეთელი  
გენერალური დირექტორი

  
რევაზ ზირაქაძე  
ფინანსური დირექტორი

თანდართული განმარტებითი შენიშვნები, რომელიც მოცემულია გვერდებზე 5-34 წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თეგეტა მატორსი“

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე)

	შენიშვნა	ჯგუფი		კომპანია	
		2017	2016	2017	2016
შემოსავლები	13	347,347	271,978	204,606	162,255
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	14	(277,155)	(217,438)	(151,042)	(118,839)
<b>საერთო მოგება</b>		<b>70,192</b>	<b>54,540</b>	<b>53,564</b>	<b>43,416</b>
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(35,613)	(28,427)	(30,739)	(24,324)
რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯები		(4,371)	(3,691)	(3,261)	(2,768)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	15	5,048	1,782	4,245	3,410
სხვა საოპერაციო ხარჯები		(1,671)	(2,153)	(1,571)	(1,684)
<b>საოპერაციო მოგება</b>		<b>33,585</b>	<b>22,051</b>	<b>22,238</b>	<b>18,050</b>
ფინანსური შემოსავალი	18	3,211	174	2,958	257
ფინანსური ხარჯები	17	(9,245)	(20,255)	(5,995)	(13,247)
მეკავშირე კომპანიების შედეგების წილი		13	(14)	-	-
<b>მოგება დაბეგრამდე</b>		<b>27,564</b>	<b>1,956</b>	<b>19,201</b>	<b>5,060</b>
მოგების გადასახადის შეღავათი/(ხარჯი)	20	(608)	5,440	(562)	4,655
<b>წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი</b>		<b>26,956</b>	<b>7,396</b>	<b>18,639</b>	<b>9,715</b>
<b>სულ მოგება და სრული შემოსავალი, რომელიც ეკუთვნის:</b>					
- „კომპანიის“ მესაკუთრეებს		26,956	7,441	18,639	9,715
- არამაკონტროლებელ წილს		-	(45)	-	-
<b>სულ წლის მოგება და სრული შემოსავალი</b>		<b>26,956</b>	<b>7,396</b>	<b>18,639</b>	<b>9,715</b>

თანდართული განმარტებითი შენიშვნები, რომელიც მოცემულია გვერდებზე 5-34 წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თეგეტა მოტორსი“  
 კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება  
 (თანხები მოცემულია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე)

ჯგუფი	კომპანიის მესაკუთრებთან დაკავშირებული			არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ		
<b>ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს</b>	<b>4,133</b>	<b>15,222</b>	<b>19,355</b>	<b>210</b>	<b>19,565</b>
ოპერაციები მესაკუთრებთან - დივიდენდები (შენიშვნა 19)	-	(1,500)	(1,500)	(220)	(1,720)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	7,441	7,441	(45)	7,396
შვილობილი კომპანიის გაყიდვა (შენიშვნა 1)	-	-	-	55	55
<b>ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>4,133</b>	<b>21,163</b>	<b>25,296</b>	<b>-</b>	<b>25,296</b>
ოპერაციები მესაკუთრებთან - დივიდენდები (შენიშვნა 19)	-	(4,000)	(4,000)	-	(4,000)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	26,956	26,956	-	26,956
<b>ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>4,133</b>	<b>44,119</b>	<b>48,252</b>	<b>-</b>	<b>48,252</b>

კომპანია	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
<b>ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს</b>	<b>4,133</b>	<b>21,095</b>	<b>25,228</b>
ოპერაციები მესაკუთრებთან - დივიდენდები (შენიშვნა 19)	-	(1,500)	(1,500)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	9,715	9,715
<b>ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>4,133</b>	<b>29,310</b>	<b>33,443</b>
ოპერაციები მესაკუთრებთან - დივიდენდები (შენიშვნა 19)	-	(4,000)	(4,000)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	18,639	18,639
<b>ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>4,133</b>	<b>43,949</b>	<b>48,082</b>

თანდართული განმარტებითი შენიშვნები, რომელიც მოცემულია გვერდებზე 5-34 წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

**შპს „თეგეტა მოტორსი“**

**ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება**

(თანხები მოცემულია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე)

შენიშვნა	ჯგუფი		კომპანია		
	2017	2016	2017	2016	
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან</b>					
მოგება დაბეგვრამდე		27,564	1,956	19,201	5,060
კორექტირებები:					
ძირითადი საშუალებების ცვეთა	6	3,996	3,777	3,034	2,778
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		394	345	385	336
მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი/(აღდგენა)	15	(581)	288	(225)	66
(შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		(55)	(16)	(26)	12
მარაგების ჩამოწერის აღდგენა	15	(485)	-	-	-
ვალდებულებებისა და დარიცხვების ანარიცხები/(გამოყენება)		(50)	43	(50)	-
შვილობილ კომპანიაში ინვესტიციების გაუფასურება/(აღდგენა)	15	-	-	(2,437)	527
გაცემული სესხების გაუფასურება/(აღდგენა)		175	-	175	(527)
გაცემული სესხების ჩამოწერა		-	565	-	-
საპროცენტო შემოსავალი	18	(240)	(174)	(232)	(257)
საპროცენტო ხარჯი	11;17	8,919	7,244	5,769	4,387
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებიდან (შემოსულობა)/ზარალი	17;18	(2,971)	11,346	(2,726)	7,987
ნაპატიები სავაჭრო ვალდებულებები		(32)	(128)	(4)	(74)
მარაგების ჩამოწერა წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე		498	272	498	69
ავანსებისა და უიმედო ვალების ჩამოწერა		75	631	55	594
შემოსავალი შვილობილი კომპანიის გაყიდვიდან		-	(395)	-	(50)
შემოსავალი დივიდენდიდან	15	(45)	(40)	(45)	(1,835)
შემოსავალი მეორადი ზეთის გაყიდვიდან		(252)	(148)	(252)	(148)
მეკავშირე კომპანიების შედეგების წილი		(13)	(26)	-	-
<b>საოპერაციო ფულადი ნაკადები სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე</b>		<b>36,897</b>	<b>25,540</b>	<b>23,120</b>	<b>18,925</b>
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(1,968)	(4,197)	(2,302)	(303)
(ზრდა)/კლება ავანსებში		1,082	(2,556)	(691)	13
(ზრდა)/კლება მარაგებში		(21,825)	(9,006)	(13,831)	(7,247)
ზრდა/(კლება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		5,808	2,006	3,551	(1,567)
ზრდა/(კლება) გადავადებულ შემოსავალში		1,435	775	55	(387)
ზრდა/(კლება) მიღებულ ავანსებში		2,877	(192)	672	(51)
ზრდა/(კლება) საგადასახადო ვალდებულებებში		978	1,452	1,172	1,517
<b>ცვლილებები სამუშაო კაპიტალში</b>		<b>(11,613)</b>	<b>(11,718)</b>	<b>(11,374)</b>	<b>(8,025)</b>
გადახდილი მოგების გადასახადი		(963)	(591)	(881)	(150)
<b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან</b>		<b>24,321</b>	<b>13,231</b>	<b>10,865</b>	<b>10,750</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან</b>					
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(12,552)	(4,064)	(10,500)	(3,253)
ამონაგები ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		603	781	-	255
არამატერიალური აქტივების შეძენა		(842)	(154)	(842)	(154)
ამონაგები შვილობილი კომპანიის გაყიდვიდან		1,137	-	1,137	50
ამონაგები შვილობილი კომპანიის გაყიდვიდან (მიუღებელი ფულადი სახსრების გამოკლებით)		-	1	-	-
ფულადი შენატანები შვილობილი და მეკავშირე კომპანიების კაპიტალში	1	-	-	(503)	(597)
სესხების გაცემა		(1,018)	(1,368)	(1,018)	(2,068)
გაცემული სესხების დაფარვა		464	749	1,164	1,207
მიღებული პროცენტი		144	66	195	94
მიღებული დივიდენდები		31	40	31	40
<b>საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>(12,033)</b>	<b>(3,949)</b>	<b>(10,336)</b>	<b>(4,426)</b>
<b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან</b>					
სესხების აღება	11	161,016	75,461	129,729	33,021
სესხების გადახდა	11	(151,733)	(72,820)	(118,417)	(31,062)
გადახდილი პროცენტი	11	(9,098)	(7,093)	(5,822)	(4,326)
გადახდილი დივიდენდები	19;24	(3,991)	(2,930)	(3,991)	(2,930)
<b>ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>(3,806)</b>	<b>(7,382)</b>	<b>1,499</b>	<b>(5,297)</b>
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(23)	(1,537)	419	(1,332)
<b>წმინდა მატება/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში</b>		<b>8,459</b>	<b>363</b>	<b>2,447</b>	<b>(305)</b>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		5,443	5,080	2,438	2,743
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>	10	<b>13,902</b>	<b>5,443</b>	<b>4,885</b>	<b>2,438</b>

თანდართული განმარტებითი შენიშვნები, რომელიც მოცემულია გვერდებზე 5-34 წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

**შპს „თეგეტა მოტორსი“**

**2017 წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები**

(თანხები მოცემულია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე)

**1. ჯგუფი „თეგეტა მოტორსი“ და მისი ოპერაციები**

შპს „თეგეტა მოტორსი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2001 წლის 26 აპრილს და მდებარეობს საქართველოში. „კომპანია“ შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს რეგულაციების შესაბამისად. „კომპანიის“ რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი 0131, დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კილომეტრი №5. „კომპანიის“ რეგისტრაციის ნომერია: 2/4-2784.

„კომპანიის“ საბოლოო მკონტროლებელი მხარეა ბატონი თემურ კოხოძე, რომელიც „კომპანიის“ საწესდებო კაპიტალში პირდაპირ ფლობს 70%-იან წილს. სხვა მესაკუთრეები არიან: ბატონი ზაურ ცხადაძე (21%), ბატონი გიორგი მშვილდაძე (3%), ბატონი ელგუჯა წაქაძე (3%), ბატონი ბექა ქილიფტარი (1,5%) და ქალბატონი თინა კოხოძე (1,5%).

**ძირითადი საქმიანობა.** „კომპანიის“ ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა ავტომობილის საბურავებით, საპოხი მასალებით, აკუმულატორებით და სხვა სათადარიგო ნაწილებით ვაჭრობა, ასევე ავტომობილების ტექნიკური და სარემონტო მომსახურებების გაწევა, საქართველოს სხვადასხვა რაიონში განთავსებულ ობიექტებში. საქართველოს მასშტაბით „კომპანია“ ფლობს თორმეტ რეგიონალურ საცალო ვაჭრობის და მომსახურების ობიექტს და ადმინისტრაციულ ოფისს თბილისში.

„კომპანია“ შემდეგი საწარმოების (ერთად „ჯგუფი“) მშობელი კომპანიაა:

შვილობილი კომპანია	საქმიანობა	აქციები/ზმის უფლება (%)		ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში (ლარი)	
		31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი
<b>პირდაპირი შვილობილი კომპანიები</b>					
შპს „თეგეტა თრაქ & ბას“	სატრანსპორტო სატვირთო ავტომობილებით, ავტობუსებით და ტრაილერებით ვაჭრობა	100%	100%	200	200
შპს „თეგეტა ქონსორაქშენ ექვიფმენტ“	მძიმე სამშენებლო ავტომობილებით ვაჭრობა	100%	100%	200	200
შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელს“	პორშეს და მაზდას ბრენდის ავტომობილებით ვაჭრობა	100%	100%	2,900,000	-
შპს „ტოიოტა ცენტრი თეგეტა“	ტოიოტას ბრენდის ავტომობილებით ვაჭრობა	100%	100%	22,000	22,000
შპს „თეგეტა ლიზინგი“	მძიმე სამშენებლო ავტომობილების იჯარა	100%	100%	3,000	2,000
შპს „თეგეტა აკადემია“	ავტომობილების მომსახურების სასწავლო ცენტრი	100%	-	30,100	-
შპს „თეგეტა მოტორს თელავი“	არააქტიური	100%	100%	200	200
შპს „თეგეტა მოტორს ახალციხე“	არააქტიური	100%	100%	200	200
შპს „თეგეტა ლოჯისტიკი“	არააქტიური	100%	100%	72,500	72,500
შპს „Geoprotector“	არააქტიური	60%	60%	-	-
<b>არაპირდაპირი შვილობილი კომპანიები</b>					
შპს „აგროსერვისი“	არააქტიური	100%	100%	200	200

ყველა შვილობილი კომპანია რეგისტრირებულია და მდებარეობს საქართველოში.

2017 წლის 3 ნოემბერს „კომპანიამ“ შექმნა ახალი შვილობილი კომპანია - სასწავლო ცენტრი შპს „თეგეტა აკადემია“, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც ატარებს ავტომანქანებთან დაკავშირებულ ავტორიზებულ პროფესიონალურ საგანმანათლებლო პროგრამებს.

2017 წელს, „კომპანიამ“ განახორციელა ფულადი შენატანები შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსის“ და შპს „თეგეტა ლიზინგის“ საწესდებო კაპიტალებში, შესაბამისად 463 ათასი ლარის და 1 ათასი ლარის ოდენობით (2016 წელს 527 ათასი ლარი და 1,000 ლარი). 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ ხელმძღვანელობამ შეაფასა შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსში“ განხორციელებული ინვესტიციების საბალანსო ღირებულება გაუფასურებაზე და შეცვალა წინა წლებში აღიარებული გაუფასურება.



შპს „თეგეტა მოტორსი“ კუთაისში“ განხორციელებული ინვესტიციების გაყიდვა. 2016 წლის 18 მაისს შპს „თეგეტა მოტორსმა“ გააფორმა წილის ნასყიდობის ხელშეკრულება ფიზიკურ პირებთან ომარ კოხოძე, სანდრო ნერგაძე და თენგიზ კოხოძე შპს „თეგეტა მოტორსი“ 85%-იანი წილის 50 ათას ლარად გაყიდვაზე. შემოსავალმა შვილობილი კომპანიის გაყიდვიდან შეადგინა 395 ათასი ლარი. ოპერაცია ნაღდი ფორმით განხორციელდა 2016 წლის 30 მაისს. „ჯგუფმა“ შეწყვიტა შპს „თეგეტა მოტორსი“ და არაპირდაპირი შვილობილი კომპანიის შპს „სითი ლაინს“ კონსოლიდაცია გაყიდვის თარიღის შემდეგ. მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება მოიცავს ორივე შვილობილი კომპანიის შედეგებს 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 18 მაისამდე პერიოდისთვის.

## 2. „ჯგუფის“ სამუშაო გარემო

„ჯგუფი“ ძირითად ბიზნეს საქმიანობას საქართველოში ეწევა. საქართველო განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციასა და მაღალ საპროცენტო განაკვეთებს. საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ცვალებადი ინტერპრეტაციების საგანს წარმოადგენს და ხელს უწყობს საქართველოში მომუშავე კომპანიების წინაშე მდგარ გამოწვევებს.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდად არის დამოკიდებული მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, ასევე საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე. ხელმძღვანელობას არ შეუძლია იმ განვითარებების წინასწარ დადგენა, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ საქართველოს ეკონომიკაზე, ასევე „ჯგუფის“ მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე მათი შესაძლო მოქმედების განსაზღვრა.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

**მომზადების საფუძველი.** წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები (ერთად „ფინანსური ანგარიშგებები“) მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები განსაზღვრულია ქვემოთ. ამ პოლიტიკებს თანმიმდევრულად იყენებდნენ „ჯგუფის“ საწარმოები ყველა წარმოადგენილ პერიოდთან მიმართებაში.

### (a) კონსოლიდირების საფუძველი

#### (i) საწარმოთა გაერთიანება

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შეძენის მეთოდის გამოყენებით შეძენის თარიღისთვის, რომელიც წარმოადგენს თარიღს, როდესაც კონტროლი „ჯგუფს“ გადაეცემა.

„ჯგუფი“ გუდვილის შეფასებას ახდენს შეძენის თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში; დამატებული
- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამატი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში.

გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

ოპერაციის დანახარჯები, გარდა იმისა, რომელიც დაკავშირებულია სესხის ან წილობრივი ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან, რომელსაც „ჯგუფი“ გასწევს საწარმოთა გაერთიანებასთან მიმართებაში, აღიარდება ხარჯებში მათი წარმოშობისთანავე.

ნებისმიერი პირობითი კომპენსაციის აღიარება სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღისთვის. თუ პირობითი კომპენსაცია კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი, მისი ხელახლა შეფასება არ ხდება და გადახდა აღირიცხება კაპიტალის ფარგლებში. სხვაგვარად, სხვა პირობითი გადახდა გადაფასდება სამართლიანი ღირებულებით, ყოველ ანგარიშგების თარიღში და შემდგომი ცვლილებები პირობითი კომპენსაციის სამართლიან ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალში.

**(ii) არამაკონტროლებელი წილი**

არამაკონტროლებელი წილის შეფასება ხდება წილის მყიდველის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციული წილით შესყიდვის თარიღით.

შვილობილ კომპანიაში „ჯგუფის“ წილის ცვლილება, რომელიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება წილობრივი მონაწილეობის გარიგების სახით.

**(iii) შვილობილი კომპანიები**

შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ „ჯგუფის“ მიერ კონტროლირებად ერთეულებს. „ჯგუფი“ აკონტროლებს ერთეულს თუ მას აქვს შვილობილ კომპანიაში ჩართულობით ცვალებადი ამონაგების მიღების და ასევე ამონაგებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები ჩართულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, კონტროლის მოპოვების მომენტიდან მისი დაკარგვის მომენტამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა იცვლება საჭიროებისამებრ, რათა შესაბამისობაში მოვიდეს „ჯგუფის“ მიერ მიღებულ ერთიან სააღრიცხვო პოლიტიკასთან. შვილობილ კომპანიაში არამაკონტროლებელი წილის ზარალი მიკუთვნებულია არამაკონტროლებად წილზე მიუხედავად იმისა, იწვევს ეს თუ არა არამაკონტროლებელი წილის უარყოფით ბალანსს.

**(iv) კონტროლის დაკარგვა**

კონტროლის დაკარგვისას, „ჯგუფი“ წყვეტს შვილობილი კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის და შვილობილ კომპანიასთან დაკავშირებული კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას. კონტროლის დაკარგვით გამოწვეული ნებისმიერი ზედმეტობა ან ნაკლებობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ „ჯგუფი“ შეინარჩუნებს რაიმე სახის წილს შვილობილ კომპანიაში, ამგვარი წილი სამართლიანი ღირებულებით შეფასდება კონტროლის დაკარგვის დღეს. შემდეგ ის აღიარდება როგორც ინვესტიცია მეკავშირე კომპანიებში, ან როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივი, შენარჩუნებული გავლენის დონიდან გამომდინარე.

**(v) ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში**

„ჯგუფის“ ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში მოიცავს წილს მეკავშირე კომპანიებსა ან ერთობლივ საწარმოებში.

მეკავშირე კომპანია წარმოადგენს ორგანიზაციას, რომლებზეც „ჯგუფს“ მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, მაგრამ არ აკონტროლებს და არც ერთობლივად აკონტროლებს მას ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკების შესაბამისად. მნიშვნელოვანი გავლენა გულისხმობს „ჯგუფის“ მიერ სხვა საწარმოში 20%-დან 50%-მდე ხმის უფლების ფლობას. ერთობლივი საწარმო წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელსაც „ჯგუფი“ ერთობლივად აკონტროლებს და მას აქვს უფლება მის წმინდა აქტივებზე და არა მის აქტივებსა და ვალდებულებებზე.

წილი მეკავშირე კომპანიასა და ერთობლივ საწარმოებში აღირიცხება კაპიტალის მეთოდის გამოყენებით და თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. ინვესტიციის თვითღირებულება მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს მეკავშირე კომპანიებში განხორციელებულ ინვესტიციებში „ჯგუფის“ მოგებ-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის წილს, მათ „ჯგუფის“ სააღრიცხვო პოლიტიკებთან მორგების შემდეგ იმ თარიღიდან, როდესაც იწყება მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი ამ უკანასკნელების დასრულებამდე.

როდესაც „ჯგუფის“ ზარალის წილი აღემატება მის წილს მეკავშირე კომპანიებში განხორციელებულ ინვესტიციებში, ამგვარი ინტერესის საბალანსო ღირებულება, ნებისმიერ გრძელვადიან ინვესტიციასთან ერთად, ნულამდე შემცირდება, ხოლო შემდგომი ზარალის აღიარება წყდება, გარდა შემთხვევებისა, როდესაც „ჯგუფს“ ექნება ვალდებულება ან როდესაც ის განახორციელებს გადახდას ინვესტიციის მიმღების სახელზე.

**(vi) კონსოლიდირებისას გამოირიცხული ოპერაციები**

შიდაჯგუფური ნაშთები და ოპერაციები, ასევე შიდაჯგუფური ოპერაციებიდან წარმოშობილი ნებისმიერი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯი ელიმინირდება. შიდაჯგუფური მოგება, რომელიც წარმოიშება მეკავშირე კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციების ოპერაციებიდან, გამოირიცხება ინვესტიციების მიხედვით, „ჯგუფის“ მიერ განხორციელებული ინვესტიციების შესაბამისად. შიდაჯგუფური ზარალი გამოირიცხება იგივე ფორმით, როგორც შიდაჯგუფური მოგება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ იარსებებს გაუფასურების მტკიცებულება.

**(b) შემოსავალი**

შემოსავალი აღიარდება იმის გათვალისწინებით, თუ სავარაუდოა, რომ ეკონომიკური სარგებელი „ჯგუფში“ შემოედინება და შემოსავალი შესაძლოა საიმედოდ იქნას შეფასებული. შემოსავლები მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ფასდება, ნებისმიერი სავაჭრო ამონაგების, დისკონტირების, ფასდაკლების და დღგ-ის გამოკლებით.

**შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან** - აღიარდება როდესაც საქონლის მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების ჯილდო გადაეცემა კლიენტს და კლიენტი მიიღებს მიწოდებას.

**შემოსავალი გაწეული მომსახურებებიდან** - აღიარდება მომსახურების გაწევის მომენტში.

**კლიენტების ლოიალობის პროგრამა** - 2013 წლის შემდეგ, „კომპანიას“ აქვს კლიენტთა ლოიალობის პროგრამა. პროგრამის ფარგლებში კლიენტები აგროვებენ ქულებს, რომლებიც შემდგომში შეუძლიათ გადაცვალონ საქონელში უფასოდ. ქულები აღიარდება თავდაპირველი გაყიდვის ოპერაციის ინდივიდუალური იდენტიფიცირებადი კომპონენტის სახით, ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების მიღებულ ქულებსა და გაყიდვის სხვა კომპონენტებს შორის განაწილების გზით, იმის უზრუნველყოფით, რომ ჯილდოდ მიღებული ქულები თავდაპირველად აღიარდება როგორც გადავადებული შემოსავალი მათი სამართლიანი ღირებულებით.

შემოსავალი ჯილდოდ მიღებული ქულებიდან აღიარდება მათი დახარჯვის მომენტში. ჯილდოდ მიღებული ქულების ვადის გასვლის თარიღია 2017 წლის 31 დეკემბერი.

**(c) ფინანსური შემოსავალი და ხარჯი**

„ჯგუფის“ ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი;
- საპროცენტო ხარჯი;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე;
- სხვა ფინანსური ხარჯები.

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება და ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის მიხედვით მოძრაობები უცხოურ ვალუტაში წმინდა მოგების პოზიციაშია, თუ წმინდა წაგების.

საკრედიტო ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება კვალიფიციური აქტივების შეძენას, მშენებლობას ან წარმოებას, აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

**(d) უცხოური ვალუტა**

**ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია „ჯგუფის“ საწარმოებში მოქმედ ვალუტაში, ოპერაციების თარიღის შესაბამისი კურსით (ქართული ლარი საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით).

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით, „ჯგუფში“ მოქმედ ფულად ერთეულში. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული მოგება ან ზარალი, მონეტარულ ერთეულებზე, წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებული ამორტიზირებული ღირებულების, პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდების და ეფექტური პროცენტის კორექტირებების და პერიოდის ბოლოს არსებული ამორტიზირებული ღირებულების, რომელიც ანგარიშგების პერიოდის ბოლო გაცვლითი კურსით არის გადაყვანილი.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, ფასდება სამართლიანი ღირებულებით და გადაიყვანება სამუშაო ვალუტაში, სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ისტორიულ ღირებულებაზე დაყრდნობით ფასდება, გადაიყვანება ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის გადაყვანით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში, გარდა გასაყიდად ხელმისაწვდომი კაპიტალის ინსტრუმენტების გადაყვანით გამოწვეული სხვაობებისა, რომლებიც სხვა მთლიან შემოსავალში აღიარდება.



2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო 1 აშშ დოლარი - 2,5922 ლარი (2016 წელს: 1 აშშ დოლარი - 2,6468 ლარი) და 1 ევრო - 3,1044 ლარი (2016 წელს: 1 ევრო - 2,7940 ლარი). საშუალო გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის იყო 1 აშშ დოლარი - 2,5086 ლარი (2016 წელს: 1 აშშ დოლარი - 2,3667 ლარი) და 1 ევრო - 2,8322 ლარი (2016 წელს: 1 ევრო - 2,6172 ლარი). მოცემული მომენტისთვის, ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

**(e) დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები**

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოს ვალდებულებები (ხელფასები, ანაზღაურებადი შვებულება, ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი გასამრჯელო) ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე, რადგან ისინი აღირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც ხდება შესაბამისი მომსახურებების გაწევა „ჯგუფის“ თანამშრომლების მიერ.

„ჯგუფს“ არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი გასამრჯელოს გადახდები.

**(f) მოგების გადასახადი**

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მიმდინარე და გადავადებული გადასახადები აღიარდება მოგებაში ან ზარალში გარდა შემთხვევისა, როდესაც ის უკავშირდება საწარმოთა გაერთიანებას ან პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

**(g) მიმდინარე გადასახადი**

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის. მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერ კორექტირებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა მოგვიანებით.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები. საგადასახადო ვალდებულების თანხა დივიდენდების განაწილებაზე გაანგარიშდება წმინდა განაწილების თანხის 15/85-ის სახით.

საგადასახადო ჩათვლა ვრცელდება გადახდილ მიმდინარე მოგების გადასახადზე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებს და დაშვებულ ლიმიტებში წარმომადგენლობით ხარჯებს. „ჯგუფი“ ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ზასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და აღირიცხავს ამგვარი ერთეულების გადასახადის სახით, გარდა მოგების გადასახადისა.

**(h) მარაგები**

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის საქმიანობის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში შეფასებული გაყიდვის ფასს გამოკლებული შეფასებული გაყიდვის ხარჯი. სათანადოგო ნაწილების და სხვა მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ხარჯის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შექმნაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე და პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მოსაყვანად. ავტომობილების ღირებულება განისაზღვრება კონკრეტულ იდენტიფიცირებულ საფუძველზე.

**(i) ძირითადი საშუალებები**

**(i) აღიარება და შეფასება**

ძირითადი საშუალებები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება აქტივების შესყიდვას. თვით აშენებულ აქტივების ხარჯი მოიცავს მასალებისა და შესაბამისი შრომის ხარჯს, აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა ხარჯს, ასევე ერთეულების დეინსტალაციის და მოხსნის ხარჯებს და იმ სამუშაო ტერიტორიის აღდგენის ხარჯებს, სადაც ისინია განთავსებული, ასევე სესხების კაპიტალიზებულ ხარჯებს. შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია შესაბამისი მოწყობილობის ფუნქციონირებისთვის, კაპიტალიზდება ამგვარი მოწყობილობის ნაწილის სახით.

როდესაც ძირითადი საშუალების ნაწილებს განსხვავებული მომსახურების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულის (მთავარი კომპონენტი) სახით.

ძირითადი საშუალების ერთეულის გაყიდვით მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება გაყიდვიდან მიღებული ამონაგების ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება წმინდა ფორმით სხვა შემოსავლის/სხვა ხარჯის სახით მოგებაში ან ზარალში.

**(ii) შემდგომი ხარჯი**

შემდგომი ხარჯის კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდოა, რომ ამგვარ ხარჯთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი „ჯგუფში“ შემოედინება.

ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების ხარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

**(iii) ცვეთა**

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზა მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ხოლო ორგანიზაციის შიდა ძალებით დამზადებული აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან. ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივის ღირებულებაზე სავარაუდო ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთა დაირიცხება წრფივი მეთოდის მიხედვით, აქტივებისთვის შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება იჯარის ვადისა და მათი სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესით, თუ გონივრულ ფარგლებში არ იქნება გაირკვევა, რომ „ჯგუფზე“ გადავა საკუთრების უფლება იჯარის ვადის გასვლის შემდეგ. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების სავარაუდო საშუალო მომსახურების ვადა მიმდინარე და შესადარის პერიოდში, შემდეგია:

- შენობები 30-50 წელი;
- მანქანა-დანადგარები 3-10 წელი;
- სხვა მოწყობილობები, ავტომობილები და სხვ. 2-10 წელი.

ცვეთის მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და ნარჩენი ღირებულების გადახედვა ხორციელდება ყოველ ფინანსურ წელს და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

**(j) საინვესტიციო ქონება**

საინვესტიციო ქონება წარმოადგენს საიჯარო შემოსავლის გამოსამუშავებელ ან კაპიტალის გასაზრდელ ქონებას, რომელიც არ არის დაკავებული მესაკუთრის მიერ. საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთით. თუ არსებობს რაიმე მითითება იმისა, რომ საინვესტიციო ქონება შესაძლოა გაუფასურდეს, დაბრუნებადი თანხა ფასდება გამოყენებულ ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას გამოკლებულ თვითღირებულებას შორის უმაღლესით. საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენად ღირებულებამდე მოგებაში ან ზარალში. წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი გადაიხედება, თუ იარსებებს ცვლილება იმ შეფასებებში, რომლებიც გამოიყენება აქტივის აღდგენადი ღირებულების განსასაზღვრად.

შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება მხოლოდ მაშინ, თუ სავარაუდოა, რომ მასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი „ჯგუფში“ შემოედინება და ხარჯი შესაძლოა საიმედოდ იქნას შეფასებული. ყველა სხვა სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ხარჯი აღირიცხება მათი გაწვევისთანავე. თუ საინვესტიციო ქონებას მესაკუთრე დაიკავებს, ის რეკლასიფიცირდება ძირითად საშუალებად და მისი საბალანსო ღირებულება რეკლასიფიკაციის დღეს გახდება მისი შემდგომში გაუფასურებული სავარაუდო ღირებულება.

**(k) არამატერიალური აქტივები**

არამატერიალურ აქტივებს აქვთ კონკრეტული სასარგებლო მომსახურების ვადები და უპირატესად მოიცავენ კაპიტალიზებული SAP სისტემის ხარჯებს და ლიცენზიებს. შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება მათ შესაძენად და მზა მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეული ხარჯების საფუძველზე.

განვითარების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამულ უზრუნველყოფებს, აღირიცხება როგორც არამატერიალური აქტივები, თუ სავარაუდოა ხარჯებს გადამეტებული ნარჩენი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება და ის ობიექტურად შეიძლება შეფასდეს. კომპიუტერის პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი, მაგ. ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯი, აღირიცხება მათი გაწვევისთანავე.

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით:

- SAP სისტემის ხარჯები და ლიცენზიები 15 წელი;
- სხვა ლიცენზიები 6-10 წელი.

ამორტიზაციის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და შესაბამისად იცვლება.

**(l) ფინანსური ინსტრუმენტები**

„ჯგუფი“ ახდენს არაწარმოებული ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას შემდეგ კატეგორიებში: ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები, სესხებისა და მოთხოვნების, ასევე გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივების კატეგორია.

„ჯგუფი“ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში.

**(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და აღიარების შეწყვეტა**

„ჯგუფი“ თავდაპირველად აღიარებს სესხებსა და მოთხოვნებს, ასევე სასესხო ფასიან ქაღალდებს მათი წარმოშობის დღისთვის. ყოველი სხვა ფინანსური აქტივის და ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება მათი ვაჭრობის დღისთვის, როდესაც „ჯგუფი“ გახდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

„ჯგუფი“ წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას მას შემდეგ, რაც ამოიწურება სახელშეკრულებო უფლებები აქტივის ვადის გასვლიდან ფულად ნაკადებზე, ან იგი გადასცემს ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით ამა თუ იმ გარიგებაში, რომელშიც ადგილი აქვს ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყოველგვარი რისკისა და ანაზღაურების გადაცემას. ყოველგვარი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივებში, რომელიც იქმნება ან შენარჩუნდება „ჯგუფის“ მიერ, აღიარებულია ცალკე აქტივად ან ვალდებულებად.

„ჯგუფი“ წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას იმ შემთხვევაში, თუ მისი სახელმწიფო ვალდებულებები გაუქმდება, დაკარგავს ძალას ან ამოიწურება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ექვემდებარება გაქვითვას და წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მითითებულ სუფთა თანხას მხოლოდ მაშინ, როდესაც „ჯგუფს“ გააჩნია აღიარებული თანხების გაქვითვის უფლება და სურს მოახდინოს ანგარიშსწორება სუფთა სახით ან ერთდროულად უზრუნველყოს აქტივების რეალიზება და ვალდებულებების ანგარიშსწორება. მოცემული მომენტისთვის „ჯგუფს“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს გაქვითვა თუ ამგვარი უფლება არ არის დამოკიდებული მომავალ მოვლენაზე და მოქმედებს როგორც საქმიანობის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში, ისე - „ჯგუფის“ და ყველა კონტრაგენტის დეფოლტის, გადახდისუნარიობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

**(ii) არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება**

**სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში აღიარებული ფინანსური აქტივები**

ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის კატეგორიაში, თუ მისი კლასიფიცირება ხდება ვაჭრობის მიზნით ან ის ამგვარად განიხილება თავდაპირველი აღიარებისას. ფინანსური აქტივები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, თუ „ჯგუფი“ მართავს ამგვარ ინვესტიციებს და იღებს ყიდვა-გაყიდვის გადაწყვეტილებებს, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით, „ჯგუფის“ დოკუმენტირების რისკების მართვის ან საინვესტიციო სტრატეგიის შესაბამისად. პირდაპირ დაკავშირებული საოპერაციო ხარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი წარმოშობისთანავე. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში აღიარებული ფინანსური აქტივები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და მათში ცვლილებები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში აღრიცხული ფინანსური აქტივები წარმოადგენს წილობრივ ფასიან ქაღალდებს, რომლების სხვაგვარად კლასიფიცირებული იქნებოდა გასაყიდად ხელმისაწვდომად.

**ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები**

თუ „ჯგუფს“ აქვს პოზიტიური განზრახვა და შესაძლებლობა აქტიურ ბაზარზე წარმოდგენილი სავალო ფასიანი ქაღალდები დაფარვის ვადამდე შეინახოს, ამგვარი ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ვადამდე ფლობილ კატეგორიაში. ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარდება ნებისმიერი პირდაპირ დაკავშირებული საოპერაციო ხარჯების დამატებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ისინი ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, მოქმედი საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

„ჯგუფს“ არ აქვს უფლება მოახდინოს რომელიმე ფინანსური აქტივის კლასიფიცირდება ვადამდე ფლობილის სახით, მომდევნო ორი ფინანსური წლის განმავლობაში და ის ახდენს ამ კატეგორიების აქტივების გასაყიდად ხელმისაწვდომად რეკლასიფიცირებას, თუ „ჯგუფს“ მიმდინარე ფინანსური წლის განმავლობაში გაყიდული ან რეკლასიფიცირებული ექნება ვადამდე ფლობილი ინვესტიციების უმნიშვნელო რაოდენობა მათ დაფარვის ვადამდე, გარდა გაყიდვებისა და რეკლასიფიკაციებისა, რომლებიც:

- ახლოს არიან დაფარვის ვადამდე ან ფინანსური აქტივის გამოხმობის თარიღამდე;
- წარმოიქმნებიან მას შემდეგ, რაც „ჯგუფი“ მიიღებს არსებითად ყველა ფინანსური აქტივის საწყის ძირ თანხას განსაზღვრული გრაფიკის ან ავანსის სახით; ან
- უკავშირდებიან იზოლირებულ მოვლენას, რომელიც სცდება „ჯგუფის“ კონტროლს, არაგანმეორებადია და რომლის მოლოდინიც „ჯგუფს“ არ აქვს გონივრულ ფარგლებში.

**სესხები და მოთხოვნები**

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდების მქონე ფინანსური აქტივების კატეგორიას, რომლებიც არ არის წარმოდგენილი აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული აქტივების თავდაპირველი აღიარება ხდება მის სამართლიან ღირებულებაზე ნებისმიერი უშუალოდ დაკავშირებული ტრანზაქციის ღირებულების დამატებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხები და მოთხოვნები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით, გაუფასურების შედეგად წარმოშობილი დანაკარგის გამოკლებით.

სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიაში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების შემდეგი კლასები: გაცემული სესხები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.



### ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ფულადი ნაშთებისგან, ვადამდე დეპოზიტებისგან და ლიკვიდური ინვესტიციებისგან, რომელთა დაფარვის ვადაც შეადგენს სამ თვეს ან ნაკლებს მათი შექმნის თარიღიდან, რაც ექვემდებარება მათ სამართლიან ღირებულებაში ცვლილებების განხორციელების მნიშვნელოვან რისკს.

#### (iii) არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

„ჯგუფი“ ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. ამგვარი ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარდება, ნებისმიერი პირდაპირ დაკავშირებული საოპერაციო ხარჯის გამოკლებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ეს ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, მოქმედი საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და კრედიტებს, საბანკო ოვერდრაფტებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

კლასიფიკაციის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტები აისახება სამართლიანი ღირებულებით, თვითღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, რაც ქვემოთ არის აღწერილი.

სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემისას შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი ოპერაციის ფარგლებში. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე მოქმედ ფასს. აქტიური ბაზარი წარმოადგენს ბაზარს, რომელშიც ადგილი აქვს აქტივის ან ვალდებულების ოპერაციას შესაბამისი სიხშირით და მოცულობით, ფასწარმოქმნის შესახებ ინფორმაციის მუდმივ საფუძველზე განხორციელების მიზნით»

აქტიურ ბაზარზე ვაჭრობაში მონაწილე ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ფასდება კოტირებული ფასის მქონე პროდუქტის სახით ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულებისთვის და საწარმოს საკუთრებაში მქონე რაოდენობით. ამას ადგილი აქვს მაშინაც კი, თუ ბაზარზე გაყიდვების ნორმალური ყოველდღიური მოცულობა არ შეესაბამება არსებული რაოდენობის ათვისებას და ერთ ოპერაციაში პოზიციის გაყიდვის შესახებ შეკვეთების განთავსებამ შესაძლოა იმოქმედოს კოტირებულ ფასზე.

საშემფასებლო ტექნიკები, როგორც არის დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელები ან მიმდინარე საბაზრო პირობებში დადებული გარიგებების მოდელები ან გამოიყენება ინვესტიციის მიმღებების ფინანსური მონაცემები კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრად, რომლისთვისაც არ არის ხელმისაწვდომი გარე საბაზრო ფასწარმოქმნის ინფორმაცია.

სამართლიანი ღირებულების შეფასების ანალიზი ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით, შემდეგი სახით: (i) პირველი დონე - კოტირებული საბაზრო ფასი (უცვლელი) აქტიურ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის, (ii) მეორე დონე - მონაცემები გარდა პირველ დონეში შემავალი მონაცემებისა, რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული) და (iii) მესამე დონე - მონაცემები აქტივის ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეყრდნობა დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები). სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის მოძრაობა მიიჩნევა ანგარიშგების პერიოდის ბოლოს წარმოშობილად.

წინამდებარე წინასწარ სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ ფინანსურ ინფორმაციაში მოცემულია ინფორმაცია ნებისმიერი ამგვარი დაშვების გონივრულ ფარგლებში შესაძლო ალტერნატივით ჩანაცვლების შესახებ, რაც მოგების, შემოსავლის, მთლიანი აქტივებისა და მთლიანი ვალდებულებების მნიშვნელოვან სხვაობას გამოიწვევს.

საოპერაციო ხარჯი წარმოადგენს დამატებით ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შექმნას, გამოშვებას ან გაყიდვას. დამატებითი ხარჯი წარმოადგენს ხარჯს, რომელთა გაწევასაც არ ექნებოდა ადგილი იმ შემთხვევაში, თუ ოპერაცია არ შესდგებოდა. საოპერაციო ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის თანამშრომლები, რომლებიც გაყიდვის აგენტების სახით მოქმედებენ), მრჩეველებისთვის, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ საფასურებს და საკომისიო მოსაკრებლებს, მარეგულირებელი სააგენტოებისთვის გადასახდელ მოსაკრებლებს, ფასიანი ქაღალდებით განხორციელებულ გადახდებს და გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდებს. საოპერაციო ხარჯები არ მოიცავს სასესხო პრემიებს ან ფასდაკლებებს, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის საფასურებს.

ამორტიზირებული ხარჯი წარმოადგენს იმ თანხას, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდება თავდაპირველი აღიარებისას, რომელსაც აკლდება ძირითადი თანხის ნებისმიერი გადახდა, ემატება დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივებისთვის აკლდება გაწეული გაუფასურების ზარალის ნებისმიერი ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს ამორტიზირებულ საოპერაციო ხარჯებს, რომლებიც გადავადდება თავდაპირველი აღიარებისას და ნებისმიერ პრემიას ან ფასდაკლებას ვადის დადგომისას გადასახდელ თანხამდე, მოქმედი საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, რაც მოიცავს როგორც დარიცხულ კუპონს, ისე - ამორტიზირებულ ფასდაკლებას ან პრემიას (წარმოშობისას გადავადებული საფასურების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩათვლით) არ აღრიცხავენ ცალკე და ისინი ჩაითვლება შესაბამისი ერთეულების საბალანსო ღირებულებაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდს, ისეთი ფორმით, რომ მიღწეულ იქნას უცვლელი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (მოქმედი საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებით. მოქმედი საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს იმ განაკვეთს, რომელიც ახდენს მომავალი ფულადი გადახდების ან თანხის მიღებების (გარდა მომავალი საკრედიტო ზარალისა) ზუსტ დისკონტირებას, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს ცვლადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების დისკონტირებას საპროცენტო განაკვეთის გადაფასების შემდეგ თარიღამდე, იმ პრემიის ან ფასდაკლების გამოკლებით, რომლებიც ასახავენ კრედიტის გავრცელებას ინსტრუმენტში მითითებულ ცვლად განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომლებიც არ ჩამოიწერება ბაზრის განაკვეთამდე. ამგვარი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზირდება ინსტრუმენტის მთლიანი მოსალოდნელი ვადის გათვალისწინებით. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ყველა განხორციელებულ ან მიღებულ გადახდას ხელშეკრულების მხარეებს შორის, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

**(m) საწესდებო კაპიტალი**

**ჩვეულებრივი აქციები**

„კომპანიის“ ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება „კომპანიის“ წესდებით. „კომპანიის“ წესდების ცვლილება ხორციელდება მხოლოდ „კომპანიის“ მფლობელთა გადაწყვეტილებით. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება საწესდებო კაპიტალის სახით „კომპანიის“ კაპიტალში, „კომპანიაში“ მესაკუთრეების მიერ განხორციელებული შენატანის შესაბამისად.

**(n) გაუფასურება**

ფინანსური აქტივი, რომელიც არ აღრიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ.

ფინანსური აქტივების (მათ შორის წილობრივი ფასიანი ქაღალდების) გაუფასურების დამადასტურებელი ობიექტური მტკიცებულებები შესაძლებელია ითვალისწინებდეს შემდეგს:

- მსესხებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა ან ვადაგადაცილება;
- „ჯგუფის“ მიმართ არსებული დავალიანების თანხის რესტრუქტურისა ცვლილება ისეთი პირობებით, რომლის სხვაგვარად განხილვა „ჯგუფს“ არ შეუძლია;
- ნიშნები იმისა, რომ მსესხებელი ან ემიტენტი გაკოტრდებიან;
- „ჯგუფში“ მსესხებლის ან ემიტენტის გადახდის სტატუსში ნეგატიური ცვლილებები;
- ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული ეკონომიკური პირობები;
- ფასიანი ქაღალდების აქტიური ბაზრის გაქრობა; ან
- დაკვირვებადი მონაცემები, მათ შორის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფინანსური აქტივების ჯგუფიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შეფასებად კლებას აქვს ადგილი.

ამასთან, წილობრივ ფასიანი ქაღალდებში ინვესტირების მიზნით, მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი კლება მათ სამართლიან ღირებულებაში, თვითღირებულების ქვემოთ წარმოადგენს გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას.

### **ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები**

„ჯგუფი“ განიხილავს ამ აქტივების გაუფასურების მტკიცებულებას, როგორც ინდივიდუალური აქტივის, ასევე - აქტივების ერთობლიობის დონეზე. ყოველი ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი აქტივი შეფასდება ინდივიდუალურად გაუფასურებაზე. აქტივები რომლებიც არ ჩაითვლება ინდივიდუალურად გაუფასურებულად, შეფასდება ერთობლივად ნებისმიერი სახის გაუფასურებასთან დაკავშირებით, რაც წარმოიშვა, მაგრამ არ არის ჯერ დადგენილი. ის სესხები და მოთხოვნები, რომელიც არ არის ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი, შეფასდება ერთობლივად გაუფასურებაზე მსგავსი რისკის მახასიათებლებთან დაჯგუფების გზით.

ერთობლივი გაუფასურების შეფასებისას „ჯგუფი“ იყენებს დეფოლტის ალბათობის, ხარვეზების აღმოფხვრის დროისა და გაწეული ზარალის ისტორიულ ტენდენციებს, რაც მორგებულია ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებებზე იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა მიმდინარე ეკონომიკური და საკრედიტო პირობები იმ სახის, რომ ფაქტიური ზარალი აღემატებოდეს ან ნაკლები იყოს წარმოდგენილ ისტორიულ ტენდენციებზე.

ამორტიზირებული ღირებულებით განსაზღვრული ფინანსური აქტივებისთვის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი წარმოადგენს აქტივის საბალანსო ღირებულებასა და აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობას. ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში და აისახება მოთხოვნებთან დაკავშირებული შედგავთების ანგარიშში. როდესაც ჯგუფი გადაწყვეტს, რომ აქტივის აღდგენის რეალური პერსპექტივა არ არსებობს, რელევანტური თანხა ჩამოიწერება. გაუფასურებულ აქტივზე დარიცხული პროცენტი კვლავ იქნება აღიარებული დისკონტის ამორტიზაციით. როდესაც შემდგომი შემთხვევა გამოიწვევს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის თანხის შემცირებას, გაუფასურებით გამოწვეული ზარალის შემცირება შეიცვლება მოგების ან ზარალის საშუალებით.

### **ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში**

გაუფასურების ზარალი მეკავშირე კომპანიებში განხორციელებულ ინვესტიციებთან მიმართებაში ფასდება ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულების მის საბალანსო ღირებულებასთან შედარებით. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, და გადავა რეზერვში, თუ არსებობს პოზიტიური ცვლილება ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრაში გამოყენებულ დაშვებებში.

### **(ii) არაფინანსური აქტივები**

„ჯგუფის“ არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების გარდა) გადაიხედება ყოველი ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება.

გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების შემოდინების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობისთვის, რომლებიც დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ფულადი შემოდინებისგან ან ფულის წარმომქმნელი ერთეულისგან.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება, თუ აქტივის და მასთან დაკავშირებული ფულის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### **(i) ანარიცხები**

ანარიცხების აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როცა „ჯგუფს“ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება განვლილი მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დაფარვას დასჭირდება ეკონომიკური სარგებლის გადინება. ანარიცხები განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადამდე არსებული განაკვეთით, რაც ასახავს ფულის დროით ღირებულების და, შესაბამის შემთხვევაში, ვალდებულების დამახასიათებელი რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს. ფასდაკლების აღდგენა აღიარდება ფინანსური ხარჯის სახით.

### **გარანტიები**

საგარანტიო ანარიცხების აღიარება ხდება შესაბამისი პროდუქტებისა მომსახურებების გაყიდვისას. ანარიცხები ეფუძნება გარანტიის ისტორიულ მონაცემებს და ყველა შესაძლო შედეგების შეწონვას მათთან დაკავშირებულ ალბათობებთან.

**(p) იჯარები**

**(i) განმარტება იმისა მოიცავს თუ არა გარიგება იჯარას.**

გარიგების დაწყებისას, „ჯგუფი“ განსაზღვრავს ამგვარი გარიგება არის იჯარა, ან მოიცავს ის თუ არა იჯარას. ეს განსაზღვრება იმის მიხედვით, გარიგების განხორციელება დამოკიდებულია თუ არა კონკრეტული აქტივის გამოყენებაზე და გარიგება გადასცემს თუ არა აქტივის გამოყენების უფლებას სხვა მხარეს.

გარიგების დაწყებისას ან მის გადაფასებისას, „ჯგუფი“ გამოიყენებს გადახდებს და ამგვარი გარიგებით მოთხოვნილ სხვა ფულად ოპერაციებს საიჯარო და სხვა ელემენტების ანაზღაურებად, მათი შესაბამისი სამართლიანი ღირებულებების საფუძველზე. თუ „ჯგუფი“ განახორციელებს ფინანსურ იჯარას, რომელშიც მიუღებელია გადახდების ობიექტურად გამოიყვნა, აქტივი და ვალდებულება აღიარდება შესაბამისი აქტივის სამართლიანი ღირებულების ოდენობით. ამის შემდეგ ვალდებულება შემცირდება გადახდების პარალელურად, ხოლო ვალდებულებაზე შესაბამისი ფინანსური დარიცხვა აღიარდება „ჯგუფის“ ნარჩენი საკრედიტო განაკვეთის გამოყენებით.

**(ii) იჯარით აღებული აქტივები**

იჯარის საფუძველზე „ჯგუფის“ საკუთრებაში არსებული აქტივები, რომლებითაც „ჯგუფი“ გადადის არსებითად ყველა რისკი და საკუთრების ჯილდო კლასიფიცირდება ფინანსური იჯარის სახით. თავდაპირველი აღიარებისას, იჯარით აღებული აქტივი ფასდება მის სამართლიან ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებას შორის უმცირესით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აქტივი აღირიცხება ამ აქტივის შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

სხვა იჯარები წარმოადგენს საოპერაციო იჯარებს და იჯარით აღებული აქტივები არ აღიარდება „ჯგუფის“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

**(iii) საიჯარო ავანსები**

საოპერაციო იჯარის ფარგლებში განხორციელებული გადახდები აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით იჯარის ვადის განმავლობაში. მიღებული საიჯარო ინციატივები აღიარდება მთლიანი საიჯარო ხარჯის შემადგენელი ნაწილის სახით, იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარის ფარგლებში განხორციელებული მინიმალური საიჯარო გადანაწილდება ფინანსური ხარჯის დაფარვასა და დაუფარავი ვალდებულების შემცირებაზე. ფინანსური ხარჯი გადანაწილდება იჯარის ვადის ყველა პერიოდზე ისეთი სახით, რომ წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე.

**4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებით**

„ჯგუფი“ აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც მოქმედებენ აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშგებო თანხებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და დაშვებები მუდმივად ფასდება ხელმძღვანელობის გამოცდილებისა და სხვა ფაქტორების, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინის გათვალისწინებით, რომლებიც გონივრულია მოცემულ ვითარებაში. დაშვებების შემცველი მსჯელობების გარდა, სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენების პროცესში ხელმძღვანელობა ასევე იყენებს კონკრეტულ მსჯელობებს. მსჯელობები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე და იმ დაშვებებზე, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილებები, 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მოიცავს შემდეგს:

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები**

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასება წარმოადგენს მსგავს აქტივებთან დაკავშირებული გამოცდილების საფუძველზე მსჯელობის საგანს. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი ძირითადად სარგებლობისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორც არის ტექნიკური ან კომერციული დაძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

**სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა**

სამართლიანი ღირებულებები დაჯგუფებულია სხვადასხვა დონების მიხედვით, სამართლიანი ღირებულების იერარქიაში იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც გამოყენებულია შეფასების მეთოდოლოგიაში:



- დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემები შესაძლოა დაჯგუფდეს სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეში, სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

## 5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

### (a) ფასს 9-ის და ფასს 15-ის მიღების საგარაუდო გავლენა

„ჯგუფი“ ვალდებულია მიიღოს ფასს 9 (*ფინანსური ინსტრუმენტები*) და ფასს 15 (*ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან*) 2018 წლის 1 იანვრიდან. „ჯგუფმა“ შეაფასა და განსაზღვრა, ფასს 9 და ფასს 15-ის თავდაპირველი მიღება არ იმოქმედებს მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში 4,000 ათასი ლარის ზედმეტობაზე. ამ სტანდარტების მიღებით შესაძლო გავლენა „ჯგუფის“ კაპიტალზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ეფუძნება მოცემული თარიღისთვის ჩატარებულ წინასწარ შეფასებებს.

### (b) ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

2014 წლის ივლისში გამოცემულმა ფასს 9-მ (ფინანსური ინსტრუმენტები) ჩაანაცვლა ბასს 39 (*ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება*). ფასს 9 მოიცავს განახლებულ მეთოდურ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებებზე, მათ შორის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ახალ მოდელს ფინანსური აქტივების გაუფასურების დასაანგარიშებლად და ჰეჯირების აღრიცხვის ახალ ზოგად მოთხოვნებს. აღნიშნული სტანდარტი ასევე ძალაში ტოვებს ბასს 39-იდან მეთოდურ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებასა და აღიარების შეწყვეტაზე. ფასს 9 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან.

### (c) ფასს 15 - ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს 15 ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრისთვის თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის ჰქონდა აღნიშნულს ადგილი. სტანდარტი ცვლის არსებულ მეთოდურ მითითებებს შემოსავლების აღიარების თაობაზე, მათ შორის, *ბასს 18 (შემოსავალი)*, *ბასს 11 (სამშენებლო ხელშეკრულებები)* და *ფასი 13 (კლიენტების ლოიალურობის პროგრამები)*. ახალი სტანდარტის ძირითადი პრინციპი ის არის, რომ ორგანიზაცია აღიარებს შემოსავალს, რათა ასახოს დანაპირები საქონლის ან კლიენტებისთვის მომსახურების გადაცემა იმ თანხით, რომელსაც ორგანიზაცია მოელის საქონლის ან მომსახურების გაცვლიდან. ახალი სტანდარტი ითვალისწინებს ახსნა-განმარტებებს შემოსავლის შესახებ, მოიცავს მეთოდურ მითითებებს იმ ოპერაციებისთვის, რომლებიც ადრე არ იყო განხილული სრულად და ასევე ხდება გაუმჯობესება იმ შეთანხმებებისთვის, რომლებიც მოიცავენ უამრავ ელემენტებს. ფასს 15 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის დაწყებული 2018 წლის 1 იანვრიდან და შემდგომ პერიოდებში.

### (d) ფასს 16 - იჯარა

ფასს 16 ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 (ლიზინგი), ფასი 4 (როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას), იმ 15 (საოპერაციო იჯარა - სტიმულირება) და იმ 27 (გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას).

ეს სტანდარტი ძალაშია ყოველწლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია საწარმოებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 15-ს, ფასს 16-ს თავდაპირველი გამოყენების დღეს ან ამ თარიღამდე.

ფასს 16 განსაზღვრავს საბალანსო ერთჯერად, საბალანსო იჯარის აღრიცხვის მოდელს იჯარებისთვის. მოიჯარე აღიარებს გამოყენების უფლების მქონე აქტივს, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს ქვემდებარე აქტივით და საიჯარო ვალდებულებას, რომელიც საიჯარო გადახდების განხორციელების ვალდებულებას წარმოადგენს. არსებობს აღიარების გამონაკლისები მოკლევადიანი იჯარებისთვის და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო ერთეულებისთვის. მეიჯარის სააღრიცხვო პროცედურები არსებულ სტანდარტს ჰგავს - ე.ი. მეიჯარე განაგრძობს იჯარების ფინანსური ან საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებას.

**შპს „თეგეტა მოტორსი“**

**2017 წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები**

(თანხები მოცემულია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე)

